პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ф-77. 58
1924წ.

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კავკ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვ. ო. დებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან. განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

№189.

პარასკევი 3 ოქტომბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 226 (1081)

— წელს გერმანიაში მოსავალს ძლიერ ცუდი პირი უჩანს.
— გადადგა საბერძნეთის მთავრობა; ახალი—ჯერ არ შემდგარა.
— დანციგში გაიხსნა საერთაშორისო ბაზრობა.
— გლეხთა მოძრაობა პოლონეთში და რუმინეთში ფართოვდება.
— ანტანტამ იურიდიულად იცნო ჩილის (სამხრეთ-ამერიკაში) სამხედრო დირექტორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათს, 4 ოქტომბერს დილის 10 საათზე სასახლის წითელ დარბაზში შესდგება

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის

გაფართოებული პლენუმი

საქ. კომპარტიის სამაზრო და საოლქო კომიტეტების მდივანთა თანდასწრებით

საქართველოს კომპარტიის ცეკას ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ცეკას მდივანი—**მ. კახიანი.**

პარასკევს, 3 ოქტომბერს, დღის 12 საათზე საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის შენობაში მოწვეულია

თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის სხდომა

სავალდებულოა ამხ. ვაშაკიძის, მალჰხაერის, იოსელევიჩის, ესაიანის, გავვას, ქელიძის და შახნაზაროვის დასწრება.

ახალი მუშაკები სამეურნეო ფრონტისათვის

ჩვენი სახელმწიფო მედგარ ეკონომიურ ბრძოლას, კონკურენციის აწარმოებს კერძო კაპიტალთან. ამისთვის მოწოდებული არიან კოოპერაციის, სახელმწიფო ვაჭრობის და საკრედიტო ორგანოები.

ამ დაწესებულებათა მუშაობა ვაჭრობის დაპყრობის, გლეხების შეკავშირების და ჩარჩ-კულაკებისაგან მის განთავისუფლების საქმეში ფრიად თვალსაჩინოა.

მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ აწი უფრო მეტია გასაკეთებელი. კერძო კაპიტალის საბოლოო დამარცხება და მოსახლეობის მოთხოვნილებათა, სრული დაკმაყოფილება საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი გზით ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს.

ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებად ამ მხრივ უნდა ჩაითვალოს საჭირო მუშაკების სიმცირე ჩვენს კოოპერატიულ და სავაჭრო-სამეურნეო ორგანოებში. იქ დღემდე ბლომად არიან მოკალათებული მუშათა კლასისათვის უცხო ელემენტები. ამ დაწესებულებებში შეხვდებით კერძო კაპიტალის ყოფილ წარმომადგენლებს, ყოფილ კომერსანტებს, „საქმის ხალხს".

ჩვენი პარტიის სავაჭრო-სამეურნეო პოლიტიკას, გლეხობასთან კავშირის განმამტკიცებელ ღონისძიებებს ასეთი ხალხი, რა თქმა უნდა, სათანადოდ ვერ გაატარებს. არის შემთხვევები, — და არა იშვიათად, როცა ისინი ბოროტი განზრახვით და პირადი ანგარე- [illegible] მიტოვებით ათასნაირ ბნელ კომ[illegible]ნაციებს აწყობენ და კერძო ვაჭ[illegible]ას უწევენ მფარველობას, ამგვა[illegible] შლიან ჩვენ სავაჭრო პოლიტი[illegible] და სახელმწიფოს, პოლიტიკურ[illegible]სთან ერთად, საგრძნობ ნივთი[illegible]არალს აყენებენ.

[illegible]და ამისა, ეს „სპეცები" მეტად [illegible]ად უჯდება მშრომელთა რეს[illegible]იკას, რომელიც იძულებულია [illegible]ათ მეტად მაღალი გასამრჯელო აძლიოს.

მუშაკების ნაკლებობა განსაკუთრებით შესამჩნევია ქვედა კოოპერატიულ და საკრედიტო დაწესებულებებში; აქ ბლომად იპოვით სრულიად მოუმზადებელ და გამოუცდელ ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს. ამ დაწესებულებებში ალაგ-ალაგ შემძვრალი არიან კულაკური და არა საიმედო ელემენტებიც, რომელნიც მიუღებელი არიან ჩვენთვის როგორც სამეურნეო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

ყველაფერი ეს მეტად აფერხებს ჩვენი ვაჭრობის საქმეს, კოოპერატიულ მშენებლობას, მის წარმართვას საჭირო კალაპოტით.

ჩვენს ამოცანას შეადგენს მივაშველოთ სავაჭრო, საკრედიტო და განსაკუთრებით კოოპერატიულ დაწესებულებებს სათანადო მუშაკები. უმთავრესად ისინი საჭირო არიან სოფლად. რა თქმა უნდა, ცენტრებიც არ უნდა იქნენ უყურადღებოდ დატოვებული.

პარტია ფართე მასშტაბით შეუდგა ამ ამოცანის განხორციელებას. რ. კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა სასწრაფოდ შეარჩიოს მუშაკები ხსენებულ დაწესებულებისათვის. გადაწყვეტილია 3000-ზე მეტი პარტიული ამხანაგების გაგზავნა ამ ორგანოებში სამუშაოდ. ეს ამხანაგები განაწილებულ იქნებიან შემდეგნაირად: 545 კაცი საგარეო ვაჭრობის ორგანოებისათვის, 395 კაცი საშინაო ვაჭრობის ორგანოებისათვის, 1.367 კაცი კოოპერაციისათვის, 724 კაცი საკრედიტო დაწესებულებებისათვის.

როგორც ამ ციფრებიდან სჩანს, ყველაზე უფრო დიდი რიცხვი—1367—მოდის კოოპერაციაზე, ამათგან 1.295 გაიგზავნება ადგილებზე.

აგრედვე საკრედიტო ორგანოებისათვის განზრახულ 724 კაციდან 666 გაიგზავნება ადგილებზე სამუშაოდ.

რა თქმა უნდა, ეს სამიათასი ახალი მუშაკიც წვეთია ზღვაში მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაფანტული კოოპერატიულ საკრედიტო და სახელმწიფო ვაჭრობის უამრავ დაწესებულებათ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ამ მხრივ ეს მაინც მეტად დიდი ნაბიჯია წინ, დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებით.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს თვით ამ ამხანაგების შერჩევის საკითხს. ყველა არ გამოდგება აღნიშნულ დარგებში სამუშაოდ. იქ უნდა გაიგზავნონ ისეთი ამხანაგები, რომელთაც ექნებათ არა მარტო საერთო მომზადება, არამედ რომელნიც იჩენენ პრაქტიკულ-ორგანიზაციულ მშენებლობის უნარს და მიდრეკილებას სამეურნეო საქმისადმი.

ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ გარემოებას. სამეურნეო ორგანოებს, როგორც ვიცით, ბაზართან უხდებათ უშუალოდ კავშირის დაჭერა, ისინი გარშემორტყმული არიან „ნეპმანური" ელემენტებით. რომ მათ ქსელში არ გაებას ჩვენი მუშაკი, საჭიროა როგორც საკმაო გამოცდილება, ისე უმთავრესად კომუნისტური სიმტკიცე. სავაჭრო-სამეურნეო ორგანო—ეს გამოსაცდელი სკოლაა იმის გამოსაჩენად, თუ რამდენად თავისუფალია მასში მომუშავე ბურჟუაზიული სტიქიის გავლენისაგან.

ამიტომ სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს იმას. რომ კოოპერატიულ საკრედიტო და სავაჭრო დაწესებულებებში გაიგზავნონ კომუნისტური თვალსაზრისით მტკიცე მუშაკები, რომელნიც არ წამოეგებიან სპეკულიანტების და სხვადასხვა კომბინატორების ანკესზე.

ცენტრალურ კომიტეტის დადგენილების თანახმად, ახალი მუშაკების გაწვევა სამეურნეო ფრონტზე მოხდება არა მარტო ზევიდან, აღმრიცხავ-განმანაწილებელი აპარატის საშუალებით, არამედ უმთავრესად ფართე კამპანიის ჩატარებით პარტიულ ორგანიზაციებში.

უკანასკნელებმა თვით უნდა გამოყონ ამა თუ იმ დარგისათვის გამოსადეგი და შესაფერი ამხანაგები.

დიდი ადგილი აქვს აგრედვე დათმობილი პარტიის თითეულ წევრის ნებაყოფლობითი სურვილს ამა თუ იმ ხსენებულ დარგში მუშაობის შესახებ.

ამ გზით ამოძრავდება ფართე პარტიულ მასსების აზრი კოოპერაციის, ვაჭრობის და კრედიტის საკითხების გარშემო. ამ გზითვე უფრო გაადვილდება შესაფერ ამხანაგების შერჩევა აღნიშნულ დაწესებულებებში სამუშაოდ.

პარტიულ ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ენერგიული ზომები—რაც შეიძლება მეტი მუშაკები გამოყონ ადგილობრივი სამეურნეო ორგანოებისათვის, პირველყოვლისა კოოპერატივებისა და შემდეგ საკრედიტო ამხანაგობებისათვის.

მხოლოდ საიმედო ძალებით განახლებულ კოოპერაციას და სხვა ეკონომიურ-ფინანსიურ დაწესებულებებს შეუძლიათ იმ უდიდესი ამოცანების გადაჭრა, რომელთაც მათ უყენებენ თანამედროვე სინამდვილე და მუშურ-გლეხური სახელმწიფო.

დავეხმაროთ ლენინგრადს

მეფის თვითმპყრობლობის და ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოწრთობილ გაკაჟებულ ლენინგრადის პროლეტარიატს თავს დაატყდა ახალი უბედურება. დღეს მას უხდება ბრძოლა, ბრძოლა არა თავის კლასობრივ მტრებთან, არამედ ბუნების საშინელ და ძლიერ სტიქიასთან.

საშინელმა წყალდიდობამ, რომლის მსგავსი მხოლოდ 1824 წელში მოხდა იმავე ლენინგრადში, გაანადგურა ქალაქის მრავალი უბნები სადაც მუშათა მოსახლეობა ბინადრობდა. მრავალი სამრეწველო დაწესებულებები და ფაბრიკა-ქარხნები მუშაობდენ.

სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გაწვრთნილი და ორგანიზაციულ ბრძოლას მიჩვეული ლენინგრადის პროლეტარიატი სტიქიურ უბედურებასაც გმირულათ შეხვდა, დაიცვა სრული წესრიგი, მიიღო ზომები ფაბრიკა-ქარხნების და სახელმწიფო სიმდიდრეთა დასაცავათ. ამ ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია, მან დიდათ შემცირა ზარალის მოსალოდნელი რაოდენობა.

მაგრამ ზარალი მაინც საგრძნობია, ის საფრთხეში აგდებს ლენინგრადის მრეწველობის მომავალს თუ თავის დროზე არ იქნება მიღებული საჭირო ზომები. წინასწარი გამოანგარიშებით ზარალი რამოდენიმე ათეულ მილიონ მანეთს უდრის. მხოლოდ საკუთარი ძალებით ლენინგრადის მუშათა კლასი ვერ შესძლებს ამ უბედურების შედეგების დაძლევას, დაზიანებული მეურნეობის დაჩქარებით ფეხზე წამოყენებას, მის სათანადო სიმაღლეზე აყვანას.

მაგრამ ლენინის სახელის მატარებელ ქალაქს უყურადღებოთ ვერ დატოვებს და არც სტოვებს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და გლეხობა. ლენინის ქალაქი უკვდავი უნდა იქნეს, როგორც უკვდავი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ლენინის სახელი.

ლენინგრადის პროლეტარიატი ყოველთვის რევოლიუციისთვის მებრძოლთა პირველ რიგებში იდგა, მანვე გადაიტანა უმთავრესი სიმძიმე, როგორც თებერვლის, ისე ოქტომბრის რევოლიუციისა; ის გმირულათ იცავდა საბჭოთა ხელისუფლებას, მედგრად იგერიებდა თეთრგვარდიელთა გაფრთებულ შემოტევას.

მისი ბრძოლა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, მის ბრძოლას მხარი დაუჭირა და ფეხდაფეხ გაჰყვა საბჭოთა კავშირის მთელი მშრომელი მასა. უბედურების დროსაც ჩვენი ყურადღების ცენტრშივე, უნდა დარჩეს რევოლიუციის ავანგარდი—ლენინგრადის პროლეტარიატი. მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელმა მოსახლეობამ უნდა იდვას თავს წყალდიდობით დაზიანებული ლენინგრადის მეურნეობის აღდგენა. ლენინგრადის მრეწველობას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი საბჭოთა კავშირისთვის და მისი მუშაობის შეუფერხებლად წარმოებისათვის ყოველმა მშრომელმა უნდა გაიღოს წვლილი და მიიღოს აქტიური მონაწილეობა დახმარების კამპანიის ჩატარებაში

ჯერ კიდევ სამოქალაქო ომით მეტად დაზიანებული იყო ლენინგრადის მრეწველობა, მუშათა კლასის თავდადებული მუშაობით ეს მრეწველობა თანდათან აღორძინების გზაზე დგებოდა და იშუშებდა ძველ ჭრილობებს.

ეს გმირული ცდა ლენინგრადის პროლეტარიატისა აუცილებლად ბრწყინვალე და სრული გამარჯვებით დამთავრდებოდა. უნდა მივიღოთ ზომები რომ სტიქიური უბედურებით—წყალდიდობით მიყენებულმა ზარალმა განსაცდელში არ ჩააგდოს ლენინის ქალაქის მომავალი.

მარტო ლენინგრადის მშრომელთა საკუთარ ძალებს ვერ დავაკისრებთ და ვერ მივანდობთ მის მომავალზე მზრუნველობას! საბჭოთა კავშირის ყოველმა მშრომელმა უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა „ოქტომბრის რევოლიუციის პირველი დედა-ქალაქის მომავალის უზრუნველყოფაში.

და მართლაც ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში უკვე სწარმოებს ენერგიული კამპანიას ლენინგრადის დასახმარებლად. საბჭოთა კავშირის მთავრობამ უკვე გადასცა ლენინგრადის საგუბერნიო აღმასკომს 12 მილიონი მანეთი, იღებენ თავის წვლილს ცალკე რესპუბლიკების მთავრობები, პროფკავშირები და სხვა ორგანიზაციები. ამიერ-კავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასდო ლენინგრადისთვის 100.000 მანეთი; ტფილისის ქალაქის საბჭო 10.000 მან; დახმარება გროვდება პროვინციაშიც.

ამნაირად დახმარება მასიურ ხასიათს იღებს და ის უეჭველად მიაღწევს მიზანს თუ ყველა ჩვენ ძალებს თავის დროზე და სათანადოდ ავამოქმედებთ.

ლენინგრადში უკვე სუსხიანი ზამთარი ახლოვდება და მით უმეტეს გვმართებს დახმარების დაჩქარებით მიწოდება.

ლენინგრადმა უზრუნველყო ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება. ჩვენ კი უნდა უზრუნველვყოთ ლენინგრადის აღორძინება და განვითარება.

ახალი „მაკრატელი"

(წერილი მოსკოვიდან)

შრომის ნაყოფიერებაზე ლაპარაკობს ყველა.

დღეს ეს კითხვა მთელი თავის სიმწვავით წამოიჭრა წინ, დღეს ამ ამოცანის გადაჭრაზე ბევრათ არის დამოკიდებული საბჭოთა მეურნეობის მომავალი ბედი. ამ მხრივ მეტად საყურადღებო მასალები მოგვცა და მდგომარეობის ნათელი სურათი დაგვიხატა ეკონომიურ დარგში მომუშავეთა კრებამ, რომელიც აქ შესდგა გაზ. „პრავდას" კლუბში.

საკითხი იმდენად ფართეთ დაისვა, რომ ის ერთმა სხდომამ ვერ ამოსწურა. რა მოხდა? ნუთუ საბჭოთა ეკონომიკის მდგომარეობა ისეთია რომ შრომის ნაყოფიერების აწევის ამოცანა ასეთ თავსამტრევ კითხვათ გადიქცა, როგორც ამ კრებებზე გამოირკვა ჩვენს მეურნეობას ახალი „მაკრატელი", პირლია გველეშაპი უახლოვდება, რომელიც თუ დროზე არ ჩაიქოლა, საბჭოთა მეურნეობის ნორმალურ მსვლელობას დიდ დაბრკოლებებს უმზადებს.

ყველა ორატორების გამოსვლებში წითელი ზოლივით ტარდებოდა ერთი და იგივე აზრი. შრომის ხელფასი და პროდუქციის ერთმანეთისგან დაშორება. აქ, რა თქმა უნდა ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა ერთი წუთითაც არ შეჩერებულა. პირიქით, გასულ საოპერაციო წელს პროდუქციის ნაყოფიერება შარშანდელთან შედარებით 25 პროც. გაიზარდა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ შრომის ხელფასის ზრდა ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში უსწრებდა წინ შრომის ნაყოფიერების ზრდას და ეხლა ისინი იმდენად დაშორდნენ ერთმანეთს, რომ მათი დაახლოება, ახალ „მაკრატელის" დაკეცვა ჩვენი წარმოების კეთილდღეობის მიუცილებელ პირობას წარმოადგენს.

აი, თვალსაჩინო მაგალითი ამ ორი ფაქტორის ერთმანეთისაგან დაშორების საბჭოთა ეკონომიკაში: პუტილოვის ქარხანაში შრომის ხელფასი უდრის ომამდე არსებულის 63 პროც. და ამავე დროს იმავე ქარხანაში შრომის ნაყოფიერება შეადგენს 39 პროც. ომამდი არსებულისას. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა ჩვენი მრეწველობის თითქმის მთელ ფრონტზე, როგორც ეს გამოირკვა ამხ. კუიბიშევის მოხსენებიდან.

ახალი „მაკრატელი" ჰბადებს იმავე საშიშროებას, რომელიც შარშან შემოდგომაზე იდგა ჩვენს წინაშე. აშკარაა, რომ შრომის ხელფასის და ნაყოფიერების ერთმანეთისაგან დაშორება ზრდისს ფასს პროდუქციის ერთეულზე, აქედან გამომდინარეობს ფასების მომატება ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმოებზე, რაც თავის რიგათ გამოიწვევს მყიდველი ხელის შემცირებას, შინა ბაზრების შევიწროებას ანუ მოკლეთ რომ ვსთქვათ, იქმნება საქონლის გასაღების კრიზისი. ამაზე უშუალოდ დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის ვითარებაც, შემცირდება ნედლი მასალის ბაზარი, ყიდვის უნარიანობა დაეცემა სოფლად და ამნაირად შეიქმნება კრიზისი მეურნეობის ყველა დარგში.

სანამ შრომის ხელფასი იმდენად მცირე რეალურ ღირებულებას წარმოადგენდა, რომ მუშას არ ჰქონდა ფიზიკური საშუალება შრომის ნაყოფიერება ნორმალურ დონემდე აეყვანა, შრომის ხელფასის ზრდა ბუნებრივი და წარმოების გამომჯობინებისათვისაც აუცილებელი იყო. დღეს მუშა-ხელის ქირა უკვე მივიდა იმ ფარგლამდი, როცა უნდა დაისვას კითხვა პროდუქციის და ხელფასის ერთმანეთთან დაახლოების და გათანასწორების.

ამაში დაინტერესებულია მუშათა კლასი არა მარტო პოლიტიკურად რადგან საბჭოთა კავშირის ბედი, როგორც ყველა სხვა სახელმწიფოების, შინაურ ეკონომიურ სიძლიერეზე და სიმტკიცეზე დამოკიდებელი. ამ ახალი მაკრატლის დაკეცვაში დაინტერესებულია მუშათა კლასი ნივთიერადაც. პროდუქციის ზრდა ჩვენი მანეთის ყიდვითი უნარიანობის ზრდა, მისი ომამდი არსებულ ღირებულებასთან დაახლოება და გათანასწორებაა. ეს გარემოება—კი ადიდებს შრომის ხელფასს არა ნომინალურად, არამედ რეალურად.

შეჩერება შრომის ხელფასის ნომინალური ზრდის, პროდუქციის მეტი ინტენსივობა, შრომის ხელფასის რეალური გაუმჯობესება, აი დედა აზრი, რომელსაც ხაზი გაუსვა „პრავდას" კლუბში მოწვეულ წითელ დირექტორების გაფართოებულ კრებამ.

ამავე კრებაზე გამოირკვა მეტად ყურადსაღები და მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების ზრდის მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზს.

ეს გახლავთ სამუშაო დღის ფაქტიურად 50 პროც. დაყვანა, ე.—ი. ოთხი საათის სამუშაო დღე. ციფრებით ხელში, საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა კუთხეების ცნობების და დაკვირვების მიხედვით მომხსენებლები ამტკიცებდენ, რომ რვა საათის სამუშაო დღე ნომინალურ ზომათ გადაიქცა, რომ **ფაქტიურათ** მთელ საბჭოთა კავშირში საშუალო გამოანგარიშებით სამუშაო დღე 4 საათს უდრის. ამავე დროს ირკვევა, რომ 4 საათის ერთი საათით მომატება, ფაქტიურ სამუშაო დღის 5 ან 6 საათამდე აყვანა ახლო მომავალში მისცემდა საბჭოთა რესპუბლიკებს 180 მილიონ მანეთს ოქროთი. რვა საათის სამუშაო დღის ფაქტიურ რვა საათად გადაქცევა კი ახლო მომავალში მოგვცემდა ნახევარს იმ სესხისას, რომლის მოცემა ასე უჭირს ინგლისის ბურჟუაზიას.

აკ. ჭყონია.

მოსკოვი, 27 სექტემბერი.

ინგლისის პარლამენტის გახსნის მოლოდინში

მუშათა პარტია განაგრძობს კამპანიას ხელშეკრულების დამტკიცების სასარგებლოდ

კონსერვატორები კამპანიას აწარმოებენ მაკდონალდის მთავრობის დასამხობად

ლიბერალებს ძლიერ აშინებს თემთა პალატის (პარლამენტის) დათხოვნის შესაძლებლობა

ხელშეკრულების გარშემო

ლონდონი. 1 ოქტომბერი. „დეილი გერალდ"-ის კორესპონდენტმა შეკითხვა მისცა კლაინსს, რა იმედი გაქვთ რომ საბჭოთა მთავრობა შეასრულებს თავის ვალდებულებებსო. კლაინსმა უპასუხა:

„— ჩვენ იმდენადვე შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ რუსეთი დაიცავს ჩვენთან დადებულ ხელშეკრულებას, რამდენადაც ვენდობით ავსტრიას და გერმანიას იმაში, რომ ისინი გადაიხდიან თავის ვალებს. ჩვენ შეგვიძლია ამის იმედი ვიქონიოთ იმავე საბუთით, რა საბუთითაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ ოდესმე უკანვე მივიღებთ ჩვენს ფულს საფრანგეთიდან".

შემდეგ კლაინსმა მიუთითა საბჭოთა კავშირის ქონებაზე ინგლისში, როგორც სესხის რეალურ გარანტიაზე, და დაამთავრა საუბარი შემდეგი სიტყვებით: „მე კიდევ უფრო მეტი იმედი მაქვს იმისი, რომ რუსეთი დაინტერესებულია კეთილი ურთიერთობით გარეშე ქვეყნებთან, რომელთაც შეუძლიათ მისცენ მას ბევრი რამ სოციალური და ეკონომიური აღმშენებლობისათვის".

ლონდონი. 1 ოქტ. ბირმინგამის სავაჭრო პალატამ მიიღო რეზოლიუცია საბჭოთა კავშირთან ყოველგვარი შეთანხმების წინააღმდეგ, რამდენადაც ასეთი შეთანხმება არ გულისხმობს ვალების ცნობას და ჩამორთმეული საკუთრების ანაზღაურებას.

დამნაშავეს დაეძებენ

ლონდონი. 1 ოქტომბერი. თემთა პალატის გუშინდელ სხდომაზე ოპოზიციის ზოგიერთმა წევრებმა შეკითხვით მიმართეს გენერალურ პროკურორს ხასტინგს იმის შესახებ, თუ რატომ სთქვა მან უარი კომუნისტური გაზეთის „უორკერს უიკლი"-ს რედაქტორის გასამართლებაზე.

თავის განმარტებებში ხასტინგმა განაცხადა, რომ კემბელი არის მხოლოდ დროებითი რედაქტორი გაზეთის, „აღმაშფოთებელი" წერილები რომლებიც მოითხოვდენ ჯარისკაცთა საბჭოების შექმნას არმიაში, მას არ ეკუთვნის. ამიტომ მოხდა უარის თქმა მის გასამართლებაზე. შემდეგ ხასტინგმა განაცხადა, რომ მის გადაწყვეტილებაზე არავის გავლენა არ მოუხდენია.

ხასტინგის განცხადებას პარლამენტში მღელვარე სცენები მოჰყვა, რომლის დროს მაკდონალდმა განაცხადა, რომ მას არ სურს კემბელის საქმის შესახებ ეხლავე იქნას გამართული [illegible]მათი. შემდეგ ყველა პარტიების შ[illegible]თანხმებით გადაწყდა, რომ ეს საკითხი გაირჩეს მომავალ კვირაში.

ბალდვინმა სთქვა, რომ ოპოზიციას შეუძლია გამოიყენოს ეს საკითხი იმისათვის, რომ უნდობლობა გამოუცხადონ მთავრობას.

ოკუპანტების წინააღმდეგ

პრაღა. 1 ოქტომბერი. პარიზის გაზეთის „დკადლტ ოსმირქიენ"-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს ხორვატიის გლეხთა პარტიის ბელადმა რადიჩმა განაცხადა:—მე შემთავაზეს პრემიერის თანამდებობა სამხრეთ სლავიაში, მაგრამ მე უარი ვსთქვი, რადგანაც არ მინდა შეიქნეს ისეთი შთაბეჭდილება, რომ ხორვატთა საწინააღმდეგო რეჟიმი შეიცვალა სერბების საწინააღმდეგო რეჟიმით.

მე ვიბრძოლებ მთავრობაში რუმინეთისათვის მხარის დაჭერის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ბესარაბიის საკითხში. მე მოვითხოვ, რომ რადიკალურად შეცვლილი იქნეს მცირე ანტანტის პოლიტიკური ხაზი და ვიბრძოლებ ახალი დათმობების წინააღმდეგ ადრიატიკის საკითხში.

რადიჩმა განაცხადა, რომ ის ემხრობა შეთანხმებას ბულგარეთთან, მაგრამ ეწინააღმდეგება ბულგარეთის შინაურ პოლიტიკაში ჩარევას. მისი აზრით, **ბულგარეთში ახლო მომავალში მოხდება გადატრიალება.**

რადიჩმა უარჰყო ბრალდება იმის შესახებ, თითქოს მას კავშირი ჰქონდეს მოსკოვთან, ან ავრცელებდეს კომუნიზმს და ცდილობდეს გადატრიალების მოხდენას.

ჩვენთან მოდიან

მოსკოვი. 2 ოქტ. **ლენინგრადიდან ჰაეროპლანით მოფრინდა ცნობილი ჰოლანდიელი მეცნიერი, ხელოვნების ისტორიკოსი, პროფესორი მარტინი,** სურათების გალერეის დირექტორი ჰააგაში.

მარტინი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ გაეცნოს ჩვენი სამუზეუმო მუშაობის სისტემას და ჩვენსა და ჰოლანდიის შორის გაცვლა-გამოცვლა მხატვრულ გამოცემების ტეხნიკის, ესთეტიკის და ხელოვნების დარგში.

დავეხმაროთ ლენინგრადის პროლეტარიატს

ლენინგრადის პარტიულ, საბჭოთა და პროფორგანიზაციებმა მოწოდებით მიმართეს საბჭოთა კავშირის მშრომელთ.—უკრაინის ცაკმა ლენინგრადისათვის გადასდო 50 ათასი მანეთი.—მუშები განაგრძობენ ფულის შეგროვებას ლენინგრადისათვის.

ლენინგრადის პროლეტარიატის დასახმარებლად

საქართველოს ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს და კავშირების ყველა წევრებს

წითელ ლენინგრადს უბედურება ეწვია.

წყალდიდობამ, რომლის მსგავსი არ ახსოვს უკანასკნელ საუკუნეს, დაფარა წყლით ქალაქის მრავალი უბანი, რომლებიც უმთავრესად მუშებით არიან დასახლებულნი.

მათი სადგომი ბინები, მთელი საოჯახო ავეჯეულობით, რამდენიმე დღის განმავლობაში „წყლის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი.

ტანისამოსი, ფეხსაცმელი, საოჯახო ნივთების უმრავლესობა, მუშის მთელი „სიმდიდრე" სამუდამოდ დაიღუპა.

ჭრილობები, რომლებიც სამოქალაქო ომმა ყველაზე უფრო ლენინგრადის პროლეტარიატს დაამჩნია და რომლებიც უკანასკნელ მშვიდობიან საამღმშენებლო წლების განმავლობაში განიკურნენ, ისევ გაიხსნენ მთელი თავისი სიმწვავით.

ს. ს. ს. რესპუბლიკის მთელი პროლეტარიატი უკვე შეუდგა ლენინგრადელთათვის რეალურ დახმარების აღმოჩენას. ეჭვი არ არის, რომ არც საქართველოს მუშები და მოსამსახურეებიც არ დაივიწყებენ ოქტომბრის რევოლიუციის პიონერებს და არ დასტოვებენ უყურადღებოთ დღეს მათ. როდესაც ასეთი უბედურება დაატყდათ თავს.

ლენინგრადში მომხდარ წყალდიდობით დაზარალებულ მუშებსა და და მოსამსახურეთათვის დახმარების აღმოჩენის კამპანიას რომ ორგანიზაციული ხასიათი მიეცეს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭო წინადადებას გაძლევთ საკითხი ამ დახმარების ფორმისა და სიდიდის შესახებ ფართო კრებებზე გამოიტანოთ.

დახმარება სრულიად ნებაყოფლობითი უნდა იქნეს.

არ შეიძლება დაშვებულ იქნეს რაიმე სავალდებულო დადგენილება რომელიმე პროფორგანიზაციისა. ლენინგრადის დაზარალებულ პროლეტარიატისათვის დახმარების აღმოჩენის საუკეთესო ფორმად და საუკეთესო საშუალებად უნდა ჩაითვალოს—ხელმოსაწერ ფურცლების გამოშვება, ნებაყოფლობითი შეწირულების აკრეფა, გამოწვევა გაზეთის საშუალებით, საქველმოქმედო საღამოების გამართვა, საკავშირო სალაროდან ანარიცხების გადადება და საწარმოო დაწესებულებებში კვირეულების მოწყობა.

შეკრებილი თანხები კავშირების სამაზრო განყოფილებებმა დაუყოვნებლივ უნდა გადაუგზავნონ თავიანთ ცენტრალურ გამგეობებს, ხოლო ცენტრალურმა გამგეობებმა. პროფკავშირთა საბჭოებმა და სამაზრო ბიუროებმა კი—საქართველოს პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოებს, რომელიც მთელ დაგროვილ თანხას კუთვნილებისამებრ დაუყოვნებლივ გადაგზავნის ლენინგრადში.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი.

დახმარება ლენინგრადის პროლეტარიატს.

ხარკოვი. 2 ოქტომბერი. სრულიად უკრაინის ცაკის პრეზიდიუმის და სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე ამხ. პეტროვსკიმ შეიტანა წინადადება ლენინგრადის დაზარალებულ პროლეტარიატის სასარგებლოდ თანხის გადადების შესახებ. ერთხმად დადგენილ იქნა გადაიდოს ლენინგრადისათვის 50,000 მანეთი.

სურსათის საკითხი

მოსკოვი. 2 ოქტ. ლენინგრადიდან დაბრუნდა საბჭოთა კავშირის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი გოლდბერგი, რომელმაც „როსტა"-ს თანამშრომელს განუცხადა, რომ **სასწრაფოდ მიღებული წინასწარი ზომების შემწეობით ლენინგრადის სასურსათო მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია.** ქალაქი სავსებით უზრუნველყოფილია ჭვავის ფქვილით და გამომცხვარი პურით. ახლო მომავალში სავსებით დაკმაყოფილებული იქნება მოთხოვნილება ხორბლის ფქვილზე. უკვე შეკეთებულია წისქვილების დაზიანებული ადგილები. პურის გამოცხობა ფურნეებში და პურის ქარხნებში გაორკეცებულია, რადგანაც გაიზარდა მოთხოვნილება მოსახლეობის მხრივ. სურსათ-სანოვაგის დანარჩენი პროდუქტები საკმაოა. ლენინგრადის საქონლის ბირჟის ცნობების მიხედვით, სავაჭრო ბრუნვა და ბაზარი უკვე დგება ნორმალურ კალაპოტში. **ჩვეულებრივად მუშაობენ ყველა დუქნები და სავაჭრო დაწესებულებები.**

წყალდიდობის შემდეგ

ლენინგრადი. 2 ოქტომბერი. ლენინგრადის საბჭომ, რ. კ. პ. საგუბერნიო კომიტეტმა და პროფკავშირთა საგუბერნიო საბჭომ მიმართეს საბჭოთა კავშირის ყველა პარტიულ საბჭოთა პროფესიონალური ოგანიზაციებს და მშრომელებს მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია, რომ ზარალი, რომელიც გამოიწვია წყალდიდობამ, დაახლოვებითი ანგარიშით ათეულ მილიონ მანეთს უდრის.

ლენინგრადის მუშებმა მეტად მძიმე, არაჩვეულებრივი მუშაობით ამ უკანასკნელ წლებში შესძლეს თავიანთი ქალაქის ნაწილობრივ აღდგენა-აღორძინება.

ლენინგრადის მუშები და მუშა-ქალები, შეგნებულად იღებდენ ყოველგვარ მსხვერპლს იმისათვის, რომ აღედგინათ თავიანთი ფაბრიკები და ქარხნები, ორი წლის განმავლობაში გაძლიერებულ მუშაობას აწარმოებდენ იმ ჭრილობების მოსაშუშებლად, რომლებიც მიაყენა ლენინგრადს სამოქალაქო ომმა. მაგრამ უეცრად მოხდა არაჩვეულებრივი უბედურება, რომლის მზგავსი ქალაქს არ ახსოვს 100 წლის განმავლობაში. ლენინგრადის მშრომელებმა წყალდიდობის დროს გამოიჩინეს სასწაულებრივი გმირობა და დარაზმულობა. მუშები, წითელარმიელები, მეზღვაურები, მოსამსახურეები, კომკავშირელები, უმაღლეს სასწავლებლების მსმენელები, მილიციონერები, ცეცხლის მქრობელები და ყველა მშრომელები არაჩვეულებრივი თავგანწირვით მუშაობდენ ფაბრიკების, ქარხნების და სახელმწიფო ქონების გადასარჩენად. მათ რომ ასეთი გმირული ღონისძიებები არ მიეღოთ, უბედურების შედეგი გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა.

ცენტრალურმა ხელისუფლებამ აღმოუჩინა დახმარება ლენინგრადს, ის კიდევ აღმოუჩენს ამ დახმარებას, მაგრამ ეს ცოტაა, საჭიროა დახმარება მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებისაგან. ლენინგრადის მუშებს სამართლიანად აქვთ იმის იმედი, რომ როდესაც მათ მოულოდნელად თავს დაატყდა ასეთი მძიმე უბედურება, მათ არ დაივიწყებენ საბჭოთა კავშირის მუშები, გლეხები და ყველა მშრომელები.

სამოქალაქო ომი ჩინეთში

პეკინი. 1 ოქტომბ. რეიტერის სააგენტოს ცნობით, სამხრეთის ფრონტზე დაიწყო დიდი ბრძოლა. შანხაის საავადმყოფოები აივსო დაჭრილებით. შანხაიში ეშინიათ შავი ჭირის გავრცელების.

ძალთა განწყობილება

პეკინი. 1 ოქტომბ. დეპეშათა სააგენტოს „აზიატიკ ნიუზ"-ის ცნობით, ჩჟან-ცზო-ლინმა საიდუმლო ხელშეკრულება დასდო ახალგაზრდა მონღოლთა პარტიასთან, რომლის მიხედვით უკანასკნელი ვალდებულია დახმარება გაუწიოს მას საომარ მოქმედებაში.

პეკინი. 1 ოქტ. გაზეთების კორესპონდენტებთან საუბარის დროს უ-პეი-ფუმ განაცხადა, რომ ბრძოლა ჩჟონ-ცზო-ლინის წინააღმდეგ დამთავრდება ორი თვის შემდეგ.

უ-პეი-ფუს იმედი აქვს, რომ მომავალ წელში დაიპყრობს იმ პროვინციებს, რომლებიც უჭირავს სუნ-იატ-სენს. ამის შემდეგ დარჩება მხოლოდ მონღოლეთი და ტიბეტი, რომლებიც ცხადია, თვითვე იცნობენ ძლიერი ჩინეთის ძალაუფლებას.

აჯანყება ბესარაბიაში

ოდესა. 2 ოქტ. ოდესაში ბესარაბიიდან გამოქცეული ლტოლვილები გადმოგვცემენ დაწვრილებით ცნობებს სამხრეთ ბესარაბიაში მომხდარი აჯანყების შესახებ.

გლეხები მოთმინებიდან გამოიყვანა აუტანელმა გადასახადებმა და ადმინისტრატიულმა და ნაციონალურმა ჩაგვრამ რუმინეთის ადმინისტრაციის მხრივ.

სოფელ ნიკოლაევკის, აკერმანის მაზრის გლეხებმა დაარბიეს ჟანდარმერიის სექცია, ტელეგრაფი და სხვა დაწესებულებები და ხელში ჩაიგდეს ძალა-უფლება.

აჯანყება ჩქარა მოედო მთელს ახლო-მახლო რაიონს, ავმენძიტში, სურატას, ხარიარს, ჩიშმას, კარ-მახმუდს და მალილეშტიშს.

აჯანყების ჩასაქრობად რუმინეთის სარდლობამ გაგზავნა იზმაილიდან და აკერმანიდან 9 პოლკი, მათ შორის ორი ცხენოსანთა პოლკი და მძიმე არტილერია.

სუსტად შეიარაღებული აჯანყებულები იცავდენ თავიან პოზიციებს ერთი კვირის განმავლობაში; შემდეგ ისინი ჯგუფ-ჯგუფად დაიმალენ. სამხედრო რაზმების შეტაკება აჯანყებულებთან ეხლაც გრძელდება.

რუმინელებმა დახვრიტეს 500 გლეხი, მძიმე არტილერიით გაანადგურეს 4 სოფელი. აჯანყების ჩასაქრობად დანიშნულია თავისი სისასტიკით სახელგანთქმული გენერალი პოპოვიჩი.

პარტიზანული მოძრაობა პოლონეთში

საუბარი ამხ. დომბალთან

მოსკოვი 2 ოქტომბერი. პოლონეთში პარტიზანული მოძრაობის გაძლიერების გამო, „როსტ"-ას წარმომადგენელს საუბარი ჰქონდა გლეხთა ინტერნაციონალის გენერალურ მდივანთან ამხ. დომბალთან. დომბალმა განაცხადა:

„პარტიზანულ მოძრაობას პოლონეთში ფართოდ აქვს ფესვები გადგმული ბელორუსელ და უკრაინელ გლეხობის ფართო მასებში, რომლებიც მოთმინებიდან გამოიყვანა კულტურული და ეკონომიური ჩაგვრის პოლიტიკამ, რომელიც ატარებს პოლონეთის მთავრობა.

ის გარემოება, რომ პოლონეთის მთავრობა ცდილობს ბრალი დასდოს საბჭოთა მთავრობას პარტიზანული გამოსვლების მოწყობაში, წარმოადგენს საძაგელ დემაგოგიას, რომლითაც **პოლონეთის მთავრობას სურს დაუმალოს დასავლეთ ბელორუსელ და უკრაინელ მასების აუტანელი გაჭირვება.**

პარტიზანული მოძრაობა აიხსნება უმთავრესად იმით, **რომ დასავლეთ ბელორუსიის და უკრაინის მოსახლეობა ცდილობს მოახერხოს საბჭოთა ბელორუსიასთან და უკრაინასთან გაერთიანება.**

ამაოა პოლონეთის მთავრობის ხრიკები, რომლითაც მას სურს განაპირა მხარეების შეძლებულ გლეხების და ინტელიგენციის ზოგიერთ წრეებს შორის გამონახოს პოლონეთთან შეთანხმების მომხრეები; ამ მიზნით ის ლებულობს კანონს ენების თავისუფლების და კრაკოვში უკრაინული უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. ბელორუსიის და უკრაინის მოსახლეობის ფართო მასებს ამჟამად დასახული აქვთ ერთი მიზანი ჩამოსცილდენ პოლონეთს სახალხო აჯანყების გზით და შეუერთდენ ბელორუსიის და უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკებს

დავეხმაროთ რევოლიუციის მებრძოლთ

ყველა მუშებს, გლეხებს და პატიოსან მშრომელთ!

დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა მეტის-მეტად გართულებულ და მუშათა კლასისათვის მძიმე პირობებში მიმდინარეობს. ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში მეფობს გაძლიერებული რეაქცია. დღითი დღე იზრდება მდიდრებისა და მყვლეფელების რეჟიმი. კაპიტალისტებისა და მემამულეების დიქტატურა, „თეთრძვლებიანების“ ბატონობა თანდათან აუტანელი ხდება ევროპის მუშათა კლასი განიცდის დღემდე არ ნახულ და არ გაგონილ ეკონომიურ სივიწროვეს, სიღარიბე-სილატაკეს, ჩაგვრასა და წვალებას. მისი შრომის ხელფასი საგრძნობლად დაცემულია. ევროპის პროლეტარიატისათვის არ არსებობს 8 საათის სამუშაო დღე. გამხეცებული ბურჟუაზია და მემამულეები წურბელასავით სწუწნიან მშრომელი გლეხობისა და მუშების ძვალს, სწურავენ მას სისხლის უკანასკნელ წვეთსაგან. ასეთია მდგომარეობა ევროპის სახელმწიფოებში, ასეთივეა იგი ამერიკაში, იაპონიაში, აფრიკაში და მთელს ბურჟუაზიულ სოფლიოში.

საერთაშორისო მუშათა კლასს არ აშინებს, უიმედობასა და სასოწარკვეთილებაში არ აყენებს ბურჟუამემამულეების გამოლაშქრება. მან კარგად იცის რომ ბურჟუაზიული რეაქციის თარეში შედეგია პროლეტარულ მოძრაობის გაძლიერების. იქ, სადაც მუშათა თავისუფლებისა და, მაშასადამე, ბურჟუაზიული წყობილების დამხობისათვის ემზადებიან, ირაზმებიან, უსათუოდ თავს იჩენს, ბუნებრივად წარმოიშობა იმ კლასის საწინააღმდეგო შეტევაც, რომელიც კაპიტალის გადიდებაზე ოცნებობს და ამ მიზნით ახდენს დაქირავებულ მშრომელთა გაძვალტყავებას. ჩვენც ნათლად და აშკარად ვხედავთ თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში მუშათა რევოლიუციონურ შეგნების ზრდას, ერთის მხრით, და მდიდრებისა და მყვლეფელების დიქტატურის განვითარებას—მეორეს მხრით.

რა უწყობს ხელს ბურჟუაზიულ რეჟიმის გაძლიერებას? ამ კითხვაზე პასუხი მზად აქვს ყოველ გათვითცნობიერებულ მუშას და გლეხს: ბურჟუაზიულ რეაქციის ყავარჯენი, დასაყრდნობი, მთავარი დამხმარე ძალა არის ყვითელი, მენშევიკური 2 ინტერნაციონალი. დღეს მსოფლიო რევოლიუციონური მუშათა მასსებისათვის სრულებით არ წარმოადგენს საიდუმლოებას ამ ინტერნაციონალისა და მისი ხელმძღვანელების გამყიდველობა. წინედ ამბობდნენ, რომ მეორე ინტერნაციონალს არ აქვს რეალური საშუალება, არ გააჩნია რეალური ძალა. ამით ამართლებდნენ მის მოღალატურ საქციელს. ამჟამად ეს სიყალბეც გამოაშკარავდა ინგლისის „მუშათა მთავრობა“ მეორე ინტერნაციონალის „საქმიანი გეგმის“ გამომხატველია. მაგრამ რას აკეთებს ბატონი მაკდონალდი მუშებისა და გლეხების სასარგებლოდ? სრულებით არაფერს. ის აწარმოებს ლორდ კერზონის იმპერიალისტურ პოლიტიკას, კიდევ მეტი—ავითარებს და აღრმავებს მას დაჩაგრული ახალშენების და მშრომელი მასების დასამონავებლად. სავსებით მიუდგომლად უნდა ითქვას მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხის გასაგონად, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული რეაქციის გაძლიერების ფესვები ღრმადაა ჩამჯდარი მეორე ინტერნაციონალის,— საერთაშორისო მენშევიზმის რეფორმისტულ, სოციალმოღალატურ ნიადაგში. მეორე ინტერნაციონალი მდიდრებისა და მტაცებლების მარჯვენა ხელია, იგი ნამდვილი ბანგია, რომელიც აბიაბრუებს მშრომელ მასსებს და უკარგავს მათ რევოლიუციონური ბრძოლის წყურვილს.

ბურჟუაზიული რეჟიმის სიმძიმე მუშების მარტო ეკონომიურად შევიწროებით არ ამოიწურება. ბურჟუაზია სასტიკ ზომებს ხმარობს რევოლიუციონური მოძრაობის ჩასაქრობად. იგი აწარმოებს მასსიურ დევნა-დატუსაღებას რევოლიუციისათვის მებრძოლებისას, ხვრეტს, ასახიჩრებს ფიზიკურად, ასახლებს მათ შორეულ ქვეყნებში ამჟამად ნამდვილი და სწორი ცნობების მიხედვით კაპიტალისტურ ევროპის ციხეებსა და კატორღაში იტანჯება **ასი ათასი** რევოლიუციონერი, ასი ათასი მუშა და გლეხი. მარტო „დემოკრატიულ“ გერმანიის საპყრობილეებში მოთავსებულია **შვიდი** ათასი მებრძოლი. სასტიკი რეჟიმი ციხეებში, მხეცური მოპყრობა პოლიტიკურ ტუსაღებისადმი, სიმშილი, სიტიტვლე და კვნესა—აი სურათი, რომელიც გადაშლილია ბურჟუაზიულ ქვეყნების სინამდვილეში—მეორე ინტერნაციონალის წინაშე. კაპიტალისტურ სახელმწიფოებში რევოლიუციონერებზე „ნადირობენ“. კომუნისტებს კი არ იჭერენ—აპატიმრებენ, ხვრეტავენ. ბურჟუაზიულ ქვეყნებში ციხეები ნამდვილ შეშლილთა სახლებს წარმოადგენენ. თვითმკვლელობა, ჭკუაზე შეშლა, სულიერად და ფიზიკურად დასახიჩრება იქ ყოველდღიური და ჩვეულებრივი მოვლენებია. ყოველივე ამას კარგად ხედავენ მეორე ინტერნაციონალის „გმირები“, მაგრამ ხმას არ იღებენ, არ სურთ ბ.ბ. კაპიტალისტებისა და ბურჟუების სულიერ სიმშვიდის დარღვევა. მაგრამ ისინი გაჰკივიან, ბევრს ყვირიან ჩვენს ქვეყნებში, საბჭოთა რესპუბლიკებში დაპატიმრებულთა შესახებ. ისინი მოითხოვენ მათ განთავისუფლებას, ჩვენ არ ვმალავთ სინამდვილეს: ბურჟუაზიულ ქვეყნებში ატუსაღებენ რევოლიუციონერებს—მუშებსა და გლეხებს, საბჭოთა კავშირში—რეაქციონერებს, ყოფილ თავადებს, მდიდრებს, ყველა მყვლეფელებს და მათ ლაქიებს, რომლებიც იბრძვიან მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ. ამას არ ვმალავთ ჩვენ, პირიქით, ვაცხადებთ მთელი ქვეყნის გასაგონად. მენშევიკები ტაშს უკრავენ ევროპის მუშების ცივ საკანში დალპობას, ხოლო ცხარე ცრემლებს ღვრიან საბჭოთა კავშირში დაპატიმრებულ იმ ხალხის შესახებ, რომელიც ძვლისაგან ხორცს აცლიდა საბჭოთა ქვეყნების მშრომელ მასსებს მთელი ათეულ წლების განმავლობაში. მეორე ინტერნაციონალის ასეთი საქციელი ჩვენთვის არაა გასაკვირი და მოულოდნელი.

ვინ იტყვის იმას, რომ კლასთა ბრძოლაში ადგილი არ აქვს ძალმომრეობას? ბურჟუაზია მიმართავს ძალმომრეობას პროლეტარიატის წინააღმდეგ. ეს სამართლიანია მეორე ინტერნაციონალის გაგებით. პროლეტარიატიც იძულებულია მიმართოს სასტიკ ზომებს მყვლეფელების წინააღმდეგ.

ამხანაგებო! თქვენ კარგად იცით ის გარემოება, რომ საერთაშორისო მუშათა განთავისუფლების ბედი საერთაშორისო რევოლიუციაზეა დამოკიდებული. საერთაშორისო რევოლიუცია ბორკილებს ჰყრის მსოფლიო მშრომელ მასსებს.

ჩვენ ირგვლივ ბურჟუაზიული სახელმწიფოები გვახვევია. ისინი მუდამ ჩვენს დამარცხებასა და საბჭოთა ძალა-უფლების დამხობაზე ოცნებობენ. საერთაშორისო რევოლიუცია გზას გაგვიხსნის სრულ თავისუფლებისაკენ, დაგვაკავშირებს ყველა რევოლიუციონურ, განთავისუფლებულ მუშურ-გლეხურ ქვეყნებთან, გააუმჯობესებს ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობას, მოკლეთ—უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის მშრომელი მასსების საბოლოო გამარჯვებას. ასეთია საერთაშორისო რევოლიუციის მნიშვნელობა კერძოთ ჩვენთვის, საბჭოთა რესპუბლიკების მუშებისა და გლეხებისათვის. ევროპის რევოლიუციონური პროლეტარიატი განაგრძობს ბრძოლას ამ მიმართულებით. ევროპის ამხანაგები არ ერიდებიან არც ცეცხლს, არც ტყვიას, არც ციხეს და „ოკეანეს გაღმა“—ცხელ ქვეყნებში გადასახლებას. ყოველი დღე, ყოველი საათი ახალ-ახალი მსხვერპლით აღნიშნება, საერთაშორისო რევოლიუციის დიადი მიზანი მშრომელ ფენებს თავდადებულ ბრძოლისაკენ იზიდავს. ჩვენ გვრწამს, რომ ეს ბრძოლა მიაღწევს მიზანს. ჩვენ გვჯერა, რომ დღეს თუ არა ხვალ ზეგ მაინც დაიმსხვრევა ბურჟუა-მემამულეების ბატონობის ტახტი და განთავისუფლებული პროლეტარიატი და გლეხობა შეუდგება თავისუფალ ცხოვრებას მთელ მსოფლიოში.

ჩვენმა დიდ მასწავლებელმა ამხ. ლენინმა სთქვა: „მსოფლიო რევოლიუციის ამოცანა გადაწყვეტილია, საკითხი დროშია“-ო. მტკიცედ გვწამს ეს ანდერძი და კიდევაც მედგრად მივეშურებით საკაცობრიო, ისტორიულ საქმის შესრულებისაკენ.

„რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოება“ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ახდენს თავის ძალების მოკრეფას, მობილიზაციას. კავშირი, ორგანიზაცია—ძირითადი პირობაა გამარჯვებისათვის. რევოლიუციის მებრძოლთათვის მატერიალური და მორალური დახმარება ჩვენი მოვალეობაა, რომელიც პირნათლად უნდა შევასრულოთ.

საბჭოთა საქართველოს მუშებმა და გლეხებმა საკმაო თანაგრძნობა გამოიჩინეს „რემედასს“-ისადმი. საჭიროა კიდევ მეტი ხალისი, მეტი თანაგრძნობა, მეტი მუშაობა! ოქტომბრის 15-მა, „რემედასის“ სრ. საქართველოს განყოფილებათა კონფერენციის დღემ, უნდა დაამტკიცოს საქართველოს მშრომელ მასსის რევოლიუციონური განწყობილება და გაამართლოს ის იმედები, რომლებსაც ვამყარებთ მის რევოლიუციონურ შეგნებაზე.

ამხანაგებო, გააძლიერეთ და განამტკიცეთ რემედასს-ის რიგები, გაიღეთ თქვენი წვლილი ბურჟუაზიის ციხეებში ტანჯულ მოძმეთა დასახმარებლათ.

15 ოქტომბრის შემდეგ არ უნდა დარჩეს არც ერთი მუშა, გლეხი და პატიოსანი მშრომელი რემედასსის გარეშე.

ძირს საერთაშორისო რეაქცია!

ძირს მეორე ინტერნაციონალი!

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ რევოლიუციას და მესამე ინტერნაციონალს!

ძმური სალამი ევროპის ციხეებში მოქცეულ ამხანაგებს!

გაუმარჯოს რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციას!

რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი

პირველ ოქტომბერს ცენტრალურ პარტიულ კლუბში გაიხსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი. თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. რუბენმა.

ამხ. რუბენის მოხსენება

გასულ პერიოდის განმავლობაში თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმს ჰქონდა 16 სხდომა. მუშაობის შედეგები დამაკმაყოფილებელია. ამას ამტკიცებს ის შეგნება, რომელიც გამოიჩინა ჩვენმა ორგანიზაციამ მენშევიკური ავანტიურის დღეებში. სამწუხაროთ, ამ დროს მე თბილისში არ ვყოფილვარ, მაგრამ ამხანაგები ამბობენ, რომ ჩვენმა ორგანიზაციამ გამოცდა დაიჭირა.

თბილისის მაზრაში ავანტიურა ადვილათ იქნა ჩაქრობილი. კომკავშირელები და ყოფილი მენშევიკები სათანადო სიმაღლეზე აღმოჩდენ. სოფლის ინტელიგენციის უმრავლესობაც აგრეთვე ჩვენს მხარეზეა. თბილისის მაზრაში ავანტიურის აქტიურ ელემენტებს შეადგენდნენ მიკიტნები და ვაჭრები.

მუშები და გლეხები ჩვენ უკვე დავიპყარით. მომავალში დასმული უნდა იქნეს საკითხი საბჭოთა აპარატის შესახებ სოფლათ. კურსი, რომელიც ჩვენ ავიღეთ სოფლის ინტელიგენციაზე, კიდევ უფრო ენერგიულათ უნდა განვაგრძოთ. ყოფილი მენშევიკების გამოყენების საკითხი გამოკვლეული და შესწავლილი უნდა იქნენს, საორგანიზაციო განყოფილებამ უკვე წამოაყენა ეს საკითხი.

უპარტიოთა დასწრება ღია სხდომებზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემცირდა. საჭიროა წამოყენებული იქნეს საკითხი მუშაობის გაძლიერების შესახებ უპარტიოთა შორის; ჩვენ უნდა შევეცადოთ თავიდან ავიცილოთ ის შეცდომები, რომლებიც დაუშვეს ჩვენმა ამხანაგებმა. ჩვენ აგრეთვე უნდა შევეცადოთ სათანადოდ გამოვიყენოთ უპარტიო ამხანაგების აქტიურობა.

მოგვარებული უნდა იქნეს პარტიული ორგანოების დამოკიდებულება პროფესიონალურ ორგანიზაციებთან. ამ სფეროში ადგილი აქვს არანორმალურ მოვლენებს. საჭიროა პროფმუშაკების ახალი კადრის წამოყენება ქვედა საფეხურის უჯრედებში და აგრეთვე კომფრაქციების კადრების გაძლიერება.

ჩვენ ბრალდებას გვიყენებენ, თითქოს, გასაქანს არ ვაძლევთ უპარტიო ამხანაგებს. ეს არ არის მართალი. პარტიული და უპარტიო ამხანაგების პროცენტული დამოკიდებულება ამტკიცებს, რომ ეს არ არის მართალი.

უპარტიო ინტელიგენციის მიმართ ჩვენ საზოგადოდ სწორი ხაზი ავიღეთ. მაგრამ ჩვენ ზოგიერთ შემთხვევაში შეცდომებიც დაუშვით. ჩვენ ხშირად ერთნაირად ვუდგებოდით როგორც ჩვენს, ისე ჩვენგან შორს მდგომ ინტელიგენციას. ჩვენთან მომავალი ინტელიგენცია უნდა ჩავაბათ ჩვენს მუშაობაში, უნდა დავიპყროთ ის. იგივე ითქმის სპეცების შესახებ. მე ვფიქრობ, რომ სპეცების ნაწილი, რომელიც სავსებით ჩვენთან არის, ჩაბმული უნდა იქნეს საბჭოში. ეს მოსკოვში უკვე ასე ხდება.

თბილისის კომიტეტმა ბევრი რამ გააკეთა ინტელიგენციის დაპყრობის საქმეში. მაგრამ ზოგიერთი დეფექტები იყო. სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს მტკიცე კადრი, იქ ჩვენი გავლენა სუსტია. მუშფაკებსაც ვერ ექცევა ჯეროვანი ყურადღება, საჭიროა კი დიდი ყურადღება.

ურთიერთობა საბჭოთა აპარატისა და პარტიის შორის საუკეთესოდ არის დაყენებული. მოწყობილია საგეგმო კომისია. ასე თუ ისე ნორმალური დამოკიდებულება აგრეთვე კოოპერაციასთან. საფინანსო აპარატი კარგად მუშაობს. სათანადო სიმაღლეზე სდგას აგრეთვე კომუნალური ბანკიც. კომხაჰპში მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს.

მაგრამ მე მაინც საჭიროდ მიმაჩნია კონტროლის დაწესება „კომხაჰესის“ ფინანსებზე. წყალსადენის მუშაობა კარგად არის დაყენებული. წყალი საკმაოზე მეტია, დღე და ღამეში იზავნება 1,200,000 ვედრომდე. ტრამვაი გაუმჯობესებულია. უკვე მუშაობს 50 ვაგონი. აბანოები და სასაკლაოებიც უკვე შემოსავალს სტოვებენ და სხვ.

კიდევ ვერ არის სათანადოთ დაყენებული სასკოლო მუშაობა. სუსტად არის დაყენებული ინფორმაცია საბჭოს მუშაობის შესახებ. ინფორმაცია სათანადო სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ. საბჭოს სექციები საერთოდ ვერ მუშაობენ დამაკმაყოფილებლად. სექციები ნორმალურად ვერ იკრიბებიან. საბჭოებში უნდა გავიყვანოთ მეტი მუშები ადგილებიდან.

თბილისის კომიტეტთან არსებული კოოპერატიული კომისია კარგათ მუშაობდა. დაპყრობილია პურის ბაზარი. ეხლა ჩვენ მუშაობას ვაწარმოებთ ხორცის ბაზრის დასაპყრობათ. დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული საბითუმო ვაჭრობას. ფართლეულობის ბაზრის მდგომარეობა ვერ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი. მუშკოოპი საკმაოთ კარგათ მუშაობს; ის დიდ მუშაობას აწარმოებდა სოფლათ.

შრომის ხელფასი თბილისში ჩვენ გავათანასწორეთ. შრომის ხელფასის გადიდება ჯერ არ შეიძლება, მისი გადიდება შესაძლებელი იქნება მხოლოდ შრომის ნაყოფიერების გადიდების შემდეგ.

შინა-პარტიული მდგომარეობა კარგია. მხოლოდ მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პარტიაში ახლათ მიღებულ წევრებს. პარტიაში მიღებული იყო 2235 ახალი წევრი. მათ შორის 80 პროც. შეიძლება დამაკმაყოფილებლათ ჩაითვალოს. ამ ახალი კადრის შესწავლა ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ, როგორც საჭიროა. ამას ჰქონდა თავისი მიზეზები: საზაფხულო შვებულებები, ავანტიურა და სხვა.

პარტიაში ახლათ მიღებულმა ზოგიერთი წევრმა ჯერ კიდევ ვერ შეითვისა ორი ძირითადი ბოლშევიკური პრინციპი: პროლეტარიატის დიქტატურა და პარტიის საორგანიზაციო პრინციპები. ამიტომ, როდესაც ისინი გადაყვანილი იქნებიან პარტიის წევრებათ, ჩვენ თვითეული მათგანი უნდა შევაფასოთ ცალცალკე.

ჩვენი ორგანიზაციის ზოგიერთი წევრების კავშირს ანტი-საბჭოთა და ნეპისებურ ელემენტებთან ჯერ კიდევ აქვს ადგილი. არის ფაქტები. საჭიროა მათი შემოწმება. ეს მოვლენა აღმოფხვრილი უნდა იქნეს.

ზაფხულის პერიოდში ძნელი იყო სისტემატიური გეგმაშეწონილი მუშაობის წარმოება. მიუხედავათ ამისა, ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებამ მაინც ბევრი გააკეთა. გამოცემულია 48 ცირკულიარი. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული საალრიცხაო-განმანაწილებელ მუშაობას. პარტიაში მიღებულია 40 გლეხი და რამოდენიმე კაცი სოფლის ინტელიგენციიდან.

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ ჩაატარა რამოდენიმე კამპანია და დაიწყო პარტიაში ახლათ მიღებულ წევრების პოლიტიკური ცოდნის შემოწმება. მუშაობა ქალთა შორის შესამჩნევათ განმტკიცდა და გაუმჯობესდა. კომკავშირის და პიონერთა მუშაობაც აგრეთვე დამაკმაყოფილებელია. ზაფხულის განმავლობაში ამაზე მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო.

ამხ. მეტონიძის მოხსენება

აღნიშნა რა საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის მუშაობა, ამხ. მეტონიძემ სთქვა, რომ ახალგაზრდობის აღზრდის საქმე დამაკმაყოფილებლათ მიმდინარეობს. ჩვენ გვაქვს უკვე საფაბრიკო-საქარხნო განათლების 5 სკოლა. ვფიქრობთ მუშაობის გაძლიერებას და სკოლების რიცხვის გადიდებას. მიმდინარე წელში ჩვენ წამოვაყენეთ საკითხი გლეხთა ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების შესახებ. ის, რაც გაკეთებული იქნა გასულ ზამთარში, საზაფხულო პერიოდმა თითქმის მთლათ გააუქმა.

საკლუბო მუშაობა შესუსტდა; ამის მიზეზი იყო საზაფხულო შვებულებები და, უმთავრესათ კი, მატერიალური საშუალებების უქონლობა. ეხლა, იმ მიზნით, რომ წინ წავსწიოთ სოფლის ახალგაზრდობის განათლების საქმე, ჩვენ დავაარსეთ კურსები კომკავშირის სოფლის უჯრედების მდივნებისათვის.

დიდი მუშაობა სწარმოებს აგრეთვე ბავშვთა—ახალგაზრდა პიონერთა შორის. განზრახულია ჩატარებული იქნეს კამპანია ახალგაზრდა პიონერთა ორგანიზაციის წევრთა რიცხვის გასადიდებლათ; ამ კამპანიის წარმატებით ჩატარების შემდეგ ჩვენ გვეყოლება 7.000 შეკავშირებული ბავში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: გ. სტურუამ, ვართაპეტიანმა, ჯულელმა, ხაცკევიჩმა, მაშკევიჩმა, გოლდბაუმმა, დოლიძემ, ბოჭორიშვილმა, ივანოვ-კავკასიელმა და სუხიშვილმა.

გადაწყდა თბილისის კომიტეტის მუშაობა მოწონებული იქნეს, პრაქტიკული წინადადებები კი შემდეგი მუშაობის შესახებ შემუშავებული და მიღებული იქნეს ხვალინდელ სხდომაზე.

უკანასკნელი ცნობები

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება

პარიზი. 2 ოქტ. გუშინ გაიხსნა საფრანგეთ-გერმანიის კონფერენცია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს სავაჭრო ხელშეკრულების პირობები. ერიო მიესალმა კონფერენციას და დაარწმუნა გერმანიის დელეგაცია, რომ ფრანგების მხრივ ისინი შეხვდებიან გულწრფელ დამოკიდებულებას და მზადყოფნას იმ დამოკიდებულებათა დაძლევისათვის, რომლებიც შესაძლოა შეხვდეს კონფერენციას. გერმანიის ელჩმა გეშმა მადლობა გადაუხადა ერიოს და უსურვა რწმუნებულებს მუშაობის წარმატებით დამთავრება. დღეს ვაჭრობის სამინისტროში დაიწყო მოლაპარაკება.

კოალიციას აფართოებენ

ბერლინი. 2 ოქტ. გაზ. „გერმანია“-ს (ცენტრის ორგანოა) თანამშრომელთან საუბრის დროს კანცლერმა მარქსმა განაცხადა, რომ როგორც სოციალისტები, ისე კონსერვატორები უნდა შევიდნენ მთავრობაში. გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში პატრიოტული სულის აღსადგენად, ვინაიდან ორივე პარტიები მხარს უჭერენ მთავრობას დოეზის გეგმის გატარებაში.

საფრანგეთის ელჩი ბერლინში

პარიზი. 2 ოქტ. „ტან“-ის ცნობით ცნობილი მრეწველი და მილიარდერი ლუშერი დანიშნული იქნება საფრანგეთის ელჩად ბერლინში დე-მარჟერის ნაცვლად, რომელიც ბარის ნაცვლად იქნება ელჩად დანიშნული რომში.

ბრძოლა შანხაისთან

ბერლინი. 2 ოქტ. სამი დღის ბრძოლა, რომელიც სწარმოებდა შანხაის მიდამოებში, მოულოდნელად შეწყდა გუშინ ღამით. არც ერთ მხარეს რაიმე სერიოზული შედეგისათვის არ მიუღწევია.

ლაყბობა არ მოსწყინდათ

პარიზი. 2 ოქტომბერი. ერთა ლიგის პლენარულმა სხდომამ გუშინ განიხილა სავალდებულო სამედიატორო სასამართლოს საკითხი.

სხვა და სხვა სახელმწიფოების წარმომადგენელმა მოიწონეს ოქმი მხურვალე ტაშით დაფარეს საფრანგეთის დელეგატის ბრიანის სიტყვები, რომელმაც განაცხადა, რომ ოქმი წარმოადგენს „მსოფლიო ხელშეკრულებას“ ომის წინააღმდეგ. ბრიანმა მოიგონა მსოფლიო ომი და განაცხადა, რომ „უდიდესი სიხარულით აცხადებს საფრანგეთის სახელით, რომ უკანასკნელს არ სურს ომი“.

დღევანდელ სხდომაზე ლიგას მიეცემა ინსტრუქციები განიარაღების საკითხის განსახილველად კონფერენციის მოწვევის შესახებ.

ამხ. კლარა ცეტკინი პროლეტარულ სტუდენტებს შორის

გუშინ დღის 3 საათზე სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართა ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის, ქართულ და რუსულ მუშფაკების, სახელმწიფო კონსერვატორიის და სამხატვრო აკადემიის მსმენელების საერთო საქალაქო კრება უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლების თანდასწრებით.

თბილისის პროლეტარული სტუდენტობა ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდა კლარა ცეტკინს.

კრების გახსნის შემდეგ მისასალმებელი სიტყვა გერმანულ და ქართულ ენაზე წარმოსთქვა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **შალვა ნუცუბიძემ**, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველო არის ერთი იმ რესპუბლიკათაგანი, სადაც ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი დაკავშირებულია თავისი მუშაობით მუშურ-გლეხურ მასებთან.

პროლეტარულ სტუდენტობის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **გალაქტიონ ნუცუბიძემ**, რომელმაც დაასურათა კლარა ცეტკინის როლი გერმანიის და მთელი მსოფლიოს რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში.

ამიერ-კავკასიის კომინისტურ უნივერსიტეტის სახელით თათრულ ენაზე წარმოსთქვა სიტყვა ამხ. **აგაევმა**.

სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის პროფესორთა და პედაგოგიურ პერსონალის სახელით კლარა ცეტკინს მიესალმა ინსტიტუტის რექტორი ამხ. **ეხსენი**, რომელმაც აღნიშნა, რომ ინსტიტუტი ატარებს ლენინის სახელწოდებას, იმ ლენინის, რომელიც ამბობდა, რომ პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად იქნება განხორციელებული კავშირი ფიზიკურ და გონებრივ შრომის მუშათა შორის.

სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტობის სახელით კლარა ცეტკინს მიესალმა ამხ. **ვალდეკი**.

მისალმებების დამთავრების შემდეგ მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **კლარა ცეტკინმა**. თავის სიტყვაში მან აღნიშნა, რომ აუცილებელია კავშირის განმტკიცება ინტელიგენციასა და ფიზიკურად მომუშავეებს შორის. ეხლა მოიპოვება მატერიალური საფუძვლები სოციალისტური მსოფლიოს შესაქმნელად. მეორე მხრით ბევრი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ურთიერთობა შეიქნება პროლეტარულ მასებსა და ინტელიგენციის შორის.

ინტელიგენციის ნაწილს კიდევ არ აქვს შეგნებული ის, თუ რაზეა დამოკიდებული საუკეთესო მომავლის მოახლოვება.

არ არის პრინციპიალური განსხვავება ფიზიკური შრომის მუშების და ინტელიგენციის ეკონომიურ მდგომარეობას შორის.

ისინი უნდა გაერთიანდენ საერთო ბრძოლაში კაპიტალის წინააღმდეგ.

ამიერ-კავკასიაში კერძოდ კი საქართველოში ყველა პირობებ[illegible] უწყობენ შრომის და ცოდნის გაერთიანებას.

ამხ. კლარა ცეტკინმა და[illegible] განაცხადა: ერთ-ერთ უმთავრ[illegible]რობას ჩვენი გამარჯვებისა, რომ[illegible] კიდევ ბევრი მსხვერპლის [illegible] დასჭირდება, წარმოადგენს გ[illegible]ლი და ძლევამოსილი კავში[illegible]ლეტარულ მასებსა და ინ[illegible]ციის შორის (მქუხარე ტაში)

კლარა ცეტკინის მოხსენების გამო თბილისის პროლეტარულმა სტუდენტობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აცხადებს, რომ ის გამო[illegible] მსოფლიო ოქტომბრის დასაცავად პირველ დაძახებისთანავე.

მენშევიკების ავანტიურა და კახეთის გლეხობა

იმ დროს, როდესაც დასავლეთ საქართველოში მენშევიკები წარმოუდგენელი პროვოკაციით, სიცრუით და ცილისწამებით, ყველა რეაქციონულ ძალების—გადაგვარებულ თავად-აზნაურობის, ხულიგან ოფიცრების, მედუქნეების და ყოველი ჯურის სპეკულიანტების საშუალებით აწყობდენ ავანტიურისტულ შეიარაღებულ გამოსვლას საქართველოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ,—ჟორდანიას „დემოკრატიულ ხალხოსნურ“ და პარიტეტულ კომიტეტის გმირების მთავრობის დასამყარებლად,—სწორედ ამ დროს კახეთის გლეხები აჯანყდენ თანამედროვე მენშევიზმის დასაყრდნობ ძალის—ყოფილ თავად აზნაურობის წინააღმდეგ და საფუძვლიანად გამორეკეს ისინი ყოფილ ფეოდალურ სამფლობელოდან. 2 ინტერნაციონალის გმირებისათვის, რომლებიც ბევრს ყვირიან „საქართველოს აჯანყებაზე“, რომლებიც ყოველგვარ შეთხზვებს აძლევენ თავიანთ პარლამენტებს, რომლებსაც ერთა ლიგაში შეაქვთ უნიჭო რეზოლიუციები. საინტერესო უნდა იყოს გაეცნონ აგრეთვე კახეთში მომხდარ გრანდიოზულ ამბებს.

6 დღის განმავლობაში ჩვენ შემოვიარეთ სიღნაღის და თელავის მაზრები, ვინახულეთ 20-დე პუნქტი, სადაც წინად სცხოვრობდენ თავადები და აზნაურები; ჩვენ ვსცდილობდით გაგვეგო გლეხთა აღშფოთების ნამდვილი მიზეზები; და ყველგან ვხვდებოდით ერთსა და იმავე მტკიცე და შეგნებულ სულიერ განწყობილებას: გლეხები ერთსულოვნად და ზიზღით იგონებენ თავად-აზნაურებს და კატეგორიულად მოითხოვდენ მათ საბოლოოდ განდევნას კახეთიდან.

ამ ამბებს ადგილი ჰქონდა ერთ და იმავე დროს ორივე მაზრებში და ყველა სოფლებში. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ამ პროცესს გლეხობა ატარებდა დიდის შერჩევით, სდევნიდენ მხოლოდ იმ თავად-აზნაურებს, რომლებიც თავისი ყოფაქცევით, როგორც წარსულში, ისე უკანასკნელ ხანებში იწვევდენ გლეხების მხრივ სიძულვილს და აღშფოთებას; ისინი კი, რომლებიც შეეგუენ და შეეთვისენ გლეხობას, რომლებიც თავისი საკუთარი შრომით ამუშავებდენ მიწას, ხელუხლებელი დარჩენ. ასე მაგალითად, წინანდალის რაიონში აზნაურ სვიმონიშვილების 13 კომლიდან გლეხებმა განდევნეს მხოლოდ ერთი, რომელიც განთქმული იყო ამ სოფელში თავისი ცუდი და ამაყური მოპყრობათ გლეხობისადმი. იმავე რაიონში აზნაურ რცხილაძეების 20 კომლიდან გარეკეს მხოლოდ 4. მთელ რიგ სოფელში დასტოვეს ბევრი ყოფილი თავადები ვაჩნაძეები, ჯანდიერები, მაყაშვილები და სხვ. ისინი დღემდისაც სცხოვრობენ იქ მშვიდობიანათ გლეხობასთან ერთად. როდესაც ჩვენ სოფელ იყალთოში შევეკითხეთ გლეხებს, თუ რა იყო მიზეზი ასეთი სიმკაცრისა, ერთმა მოხუცებულმა გლეხმა გვიპასუხა, რომ დღესაც მიუხედავად მუშურ-გლეხურ ხელისუფლების არსებობისა როგორც ჩვენში, ისე სხვა სოფლებში, თავად-აზნაურებს ეკავათ საუკეთესო ადგილები სოფლის ცენტრში, მათი სახლები გაცილებით უკეთესი იყო და მიუხედავად იმისა, რომ თავად-აზნაურობა ეკონომიურად დასუსტებულია, მათი მოპყრობა ჩვენდამი იყო ისეთივე ამაყური და ამპარტავნული, როგორც წინად. გლეხები გვეუბნებოდენ: „ჩვენ მშრომელი გლეხები ვართ, მაგრამ არ ვგრძნობდით თავს მტკიცე ბატონ-პატრონებათ სოფელში, ეხლა კი, როდესაც აღარ არიან ჩვენი საუკუნო მტრები, რომლებიც სარგებლობდენ ჩვენი ჩამორჩენილობით და განაგრძობდენ ბატონობას ჩვენზე, ჩვენ გვესმის, რომ სოფელი ჩვენია და რომ ჩვენში არის ჭეშმარიტი მუშურ-გლეხური ხელისუფლება“.

მეორე გლეხმა იმავე სოფლიდან ჩვენს ამგვარივე შეკითხვაზე გვიპასუხა იმით, რომ აიწია დახეული პერანგი და დაგვანახვა შიშველი ზურგი, რომელიც სრულიად გაშავებული იყო წინანდელ ცემისაგან; „ასე გვეპყრობოდენ ჩვენო, სთქვა მან, ნიკოლოზის მეფობის დროს ჩვენი თავადები. განა ამის შემდეგ უცნაური არ არის, რომ მე ამდენ ხანს შემეძლო დამშვიდებით მეცქირა იმისათვის, რომ საუკეთესო ადგილები ეკავა ამ თავადების შთამომავლობას ჩვენს სოფელში და დღემდის ამპარტავნულად უცქეროდენ მშრომელ გლეხობასო?“

სხვათა შორის, იმავე სოფელში, როდესაც ჩვენ ამხ. სტურუასთან ერთად წინადადება მივეცით გლეხებს გადაესინჯათ განდევნილ თავად-აზნაურების სია და თუ აღმოჩნდებოდა შეცდომა, ე. ი. ვინმე უდანაშაულოთ იქნებოდა განდევნილი, დაებრუნებინათ უკან, ჩვენ გვიპასუხა ერთმა გლეხმა და მას დაეთანხმენ სხვებიც: „დეე, განდევნილმა თავადებმა, რომლებიდანაც ბევრია ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნათესავი და პირადი მეგობრები, მოჰგვარონ ის მთელი ბანდით და იარაღით მთავრობას და მაშინ ჩვენ თანახმა ვიქნებით გადავსინჯოთ საკითხი განდევნის შესახებ, მანამდე კი ჩვენ ფიქრიც კი არ გვსურს ვინმეს დაბრუნებაზეო“. მოხუცებულ გლეხის ამ სიტყვებმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია გლეხთა მიტინგზე და ეს გაიხადეს ლოზუნგათ კახეთის აჯანყებულმა გლეხებმა.

სოფ. ბაკურციხეში, სადაც ადგილი ჰქონდა თავადების მკვლელობას, ერთმა გლეხის ქალმა გულწრფელად განაცხადა, რომ ის მონაწილეობას იღებდა ერთი თავადის მკვლელობაში მან ხანჯალი ჩასცა მას გულში იმისათვის, რომ ეს თავადი 30 კაპეიკად ამუშავებდა მას დღეში და გარდა ამისა მოითხოვდა მისგან დანებებას, ამ თავადის მამამ კი ამგვარათვე გააუპატიურა მისი დედა. იმავე სოფელში ჩვენ მოგვმართა ყოფილ თავადის ცოლმა და თვალცრემლიანი გვემუდარებოდა დაგვებრუნებინა სახლში. ის ამბობდა, რომ „გლეხის ოჯახიდან ვარ, და თუ ჩემი ქმარი იყო თავადი და არამზადა, მე არაფერ შუაში ვარო“. ჩვენ იქვე მივმართეთ გლეხებს თხოვნით განემარტათ ჩვენთვის მისი განდევნის მიზეზი, მაგრამ მოხუცებულ გლეხის განცხადებიდან აღმოჩნდა, რომ ეს ყოფილი გლეხის ქალი გაცილებით ბოროტი და ამპარტავანი ყოფილა გლეხებისადმი, ვიდრე თვით თავადი. აღმოჩნდა, აგრეთვე, რომ ბაკურციხის სასოფლო საბჭოს დღევანდელი თავმჯდომარე მსახურობდა მასთან 8 წლის განმავლობაში მოჯამაგირეთ და, მისი სიტყვით, იშვითად იღებდა ის პურს მთვრალი თავადისაგან, მისი ქალბატონი ლანძღვა-გინებით ართმევდა მას პურს და ღვინოს და მოჯამაგირეს აძლევდა გამხმარ მჭადს.

სოფ. საბუეში თელავის მაზრა, იმ დროს, როდესაც ჩვენ ველაპარაკებოდით შეკრებილ გლეხებს, მოვიდა ვინმე კნეინა ჯორჯაძისა—ჩოლოყაშვილის ბანდიტის (რომელიც შარშან იქნა დახვრეტილი) ცოლი და ძალიან ამაყურად დაგვიწყო ჯერ რუსულად და შემდეგ ქართულად ლაპარაკი, რომ „გლეხები სტყუიან და მე ვიტყვი „სიმართლესო“. სანამ „პატივცემული“ კნეინა ლაპარაკობდა რუსულად, გლეხები, რომელთაც მისი ლაპარაკი არ ესმოდათ, წყნარად იდგენ, მაგრამ, როდესაც მან იგივე განიმეორა ქართულად, გლეხების აღშფოთებამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია და ისინი მზათ იყვენ სცემოდენ მას. გლეხების ასეთი აღშფოთება გამოწვეული იყო არა მარტო მის მიერ წარმოთქმულ „სიტყვით“ ამ კრებაზე; არამედ იმით, რომ ის თურმე დღემდის ეუბნებოდა გლეხებს, რომ მას, კნეინას, განსაკუთრებით ნაზი სისხლი და კანი აქვს, მას არ შეუძლია მუშაობა ისე, როგორც გლეხებს „მუჟიკებს“ და ამიტომ აქვს უფლება დაიქირაოს ისინი სამუშაოთ. გლეხებმა გულში ჩაიდვეს ეს თავადური „სიბრძნე“ და სავსებით სამართლიანათ მისცეს მას წინადადება, როგორც სხვანაირი სხეულის პატრონი, მოშორებოდა მათ სოფელს და ეცხოვრა „ცალკე“ შორს „მუჟიკებისაგან“.

უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც რაიონის და მაზრის ხელისუფლება, ისე კომუნარები და კომკავშირელები ყველგან, სადაც შეეძლოთ და ასწრობდენ მისვლას აქტიურად გამოდიოდენ განდევნილ თავად-აზნაურების დასაცავად და ამ ნიადაგზე ზოგიერთ ადგილებში კინაღამ მოხდა შეტაკება ადგილობრივ ხელისუფლებასა და გლეხობას შორის. ასე, მაგალითად:, სოფ. ახაშენში, სიღნაღის მაზრა, როდესაც რაიონულ აღმასკომის თავმჯდომარემ და რაიონულ პარტკომის მდივანმა გაიგეს დაწყებული მღელვარება, 7 ცხენოსან კომუნარისაგან შემდგარი რაზმით გაემგზავრენ იქ, რათა შეეჩერებიათ მოძრაობა. ახაშენში მათ დაინახეს ასეთი სურათი: თავიანთ სახლებიდან განდევნილ თავადებს თავი მოეყარათ ერთ ადგილას და მხოლოდ ერთი თავადი, მღვდელი დარჩენილიყო სახლში. მოსულ რაზმს გლეხები არამეგობრულად შეხვდენ, ამასთანავე ქალები და ბავშვები გადაეღობენ წინ რაზმს და არ უშვებდენ მას სოფელში. გლეხებმა გაიგეს კომუნარების მისვლის მიზეზი და გამოუცხადეს, რომ ჩვენ ნებას არ მოგცემთ გადაარჩინოთ თავად-აზნაურები გასამართლებისაგან, რაც ჩვენს უფლებას შეადგენსო. როდესაც ჩვენი ამხანაგები შეეცადენ განემარტათ მათთვის ასეთი საქციელის უკანონობა, ისინი პასუხის გაცემის ნაცვლად, შემოეხვიენ მათ, მოჰკიდეს ხელი ცხენებს აღვირში გაიყვანეს სოფლიდან და დაემუქრენ, რომ თუ ისინი გაბედავენ სოფელში დაბრუნებას მანამ, სანამ ისინი გაათავებდენ თავიანთ საქმეს, გაუსწორდებოდენ მათ. რამდენიმე ხნის შემდეგ გლეხებმა, გაათავეს თუ არა თავისი საქმე, გამართეს ყრილობა და სთხოვეს ჩვენ ამხანაგებს მოეთხრათ მათთვის საქართველოში მომხდარ ამბების შესახებ; თავადები და აზნაურები უკვე განდევნილი იყვნენ.

მეორე შემთხვევას, არა ნაკლებ დამახასიათებელს, ადგილი ჰქონდა ბაკურციხეში. იქ ამხ. მირიანაშვილი, რომელიც დიდი პოპულიარობით და სიყვარულით სარგებლობს გლეხობის შორის, შეეცადა დაემშვიდებია აღშფოთებული გლეხობა, მაგრამ მას განუცხადეს: „ჩვენ, გლეხები კარგად გაცნობთ შენ, გვიყვარხარ და არ გვინდა შენთან აყალ-მაყალის ატეხა, მაგრამ თუ შენ ჩაერევი ჩვენ სამართლიან, წმინდა საქმეში და დაიცავ თავადებს, ჩვენ იძულებული ვიქნებით მკაცრად მოგექცეთო“.

თითქმის ყველა სოფლებში, სადაც თავადები სცხოვრობდენ, ხელისუფლება და პარტია უძლური აღმოჩნდა შეეჩერებია გლეხების სტიქიური, სამართლიანი აღშფოთება მუქთახორა თავად-აზნაურების წინააღმდეგ.

დღეს, ალბათ, ყოველი ვიგინდარა, ამ უდიდეს მოვლენას საქართველოს გლეხთა მოძრაობის ისტორიაში, ახსნის „ჩეკას“ ხრიკებით და ძალდატანებით. ასეთ ვაჟ-ბატონებს ჩვენ ურჩევდით, გაევლოთ კახეთის სოფლებში და ყველაზე უფრო ნაკლებად შეგნებულ გლეხისათვის მიეცათ წინადადება განდევნილთა თუ გინდ უმნიშვნელო ნაწილის თავის ადგილებზე დაბრუნების შესახებ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი ვაჟბატონები უკეთეს შემთხვევაში გვერდებ დაჟეჟილი წამოვიდოდენ იქიდან; გლეხებს გაგონებაც კი არ უნდათ ვინმეს დაბრუნების შესახებ. და ეს სავსებით სამართლიანია; დიდი დანაშაული იქნებოდა უკანვე სოფელში დაგვებრუნებია მუდამ დამყაყებული და დამპალი ხორცმეტი და ამით ხელახლა შეგვექმნა სოფელში გლეხებს შორის ისეთი პროვოკაციის და უსინიდისო სიცრუის გავრცელების შესაძლებლობა. როგორც ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოს ზოგიერ კუთხეებში.

ამ ჟამად ყველა თავადების სახლები დაურიგდა ღარიბ გლეხობას; ზოგიერთ სახლებში დაბინავდა რამდენიმე ოჯახი, ზოგიერთი სახლები გამოყენებული იქნება საავადმყოფოებისა და სკოლებისათვის და კახეთის სოფლებმა მიიღეს სრულიად ახალი სახე, წმინდა მშრომელი და გლეხური.

არასოდეს არ გვინახავს გლეხების ისეთი გაბრწყინვებული და აღფრთოვანებული სახეები, როგორიც ჩვენ ვნახეთ კახეთში. იქ გლეხებმა მხოლოდ ეხლა ნამდვილად იგრძნეს თავისი ხელისუფლება. უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ საბჭოთა ხელისუფლების და მშრომელ გლეხობას შორის არსებულ კავშირს, რომელიც მჭიდროთაა შედუღებული კლასიურ სიძულვილით თავადებისა, აზნაურებისა და ოფიცრებისადმი, ვერ გასწყვეტს ვერც ერთი პროვოკატორი ჟორდანიას ბანაკიდან.

მენშევიკები თავიანთ პროკლამაციებში „ქართველ ხალხისადმი“ მოუწოდებდენ სწორედ გლეხებს და მუშებს აჯანყებულიყვნენ „მოღალატეების“, „უზურპატორ-ბოლშევიკების“ ძალა-უფლების წინააღმდეგ და ხელახლა დაებრუნებიათ ჟორდანიას და მისი გმირების ხელისუფლება. ამ „აჯანყებისათვის“ მენშევიკებს არ შერცხვენიათ აეღოთ ფულები ფრანგებისა და ამერიკელებისაგან. ჩვენ ვიცით, როგორი პასუხი გასცეს ამ პროვოკაციას საქართველოს პროლეტარიატმა თბილისში, ბათუმში და ფოთში, რომლებმაც ერთსულოვნად, როგორც პარტიულები, ისე უპარტიოები იარაღით ხელში გამოვიდენ მენშევიკურ-თავადაზნაურულ ავანტიურის ჩასაქრობათ. ეხლა კი კახეთის ამბებმა დაგვანახვა, რომ ქართველი გლეხები არ ჩამორჩებიან ქართველ მუშებს. კახეთის გლეხებმა ჟორდანიაც მოწოდებაზე უპასუხეს აღშფოთებით და ზიზღით მათ მიმართ, ვინც წარსულშიაც და დღესაც არიან ქართველი გლეხობის უბედურებათა მიზეზი. ვერც ერთი განდევნილი თავადი, ვერც ერთი ოფიცერი, ვერც ერთი განდევნილი აზნაური ვეღარ იხილავს კახეთის ლამაზ სოფლებს, როგორც ვერ დაინახავს თავის ყურებს. გლეხები ხუმრობით გვირჩევდენ ჩვენ გაგვეგზავნა ეს განდევნილი თავადები საზღვარგარეთ, პირდაპირ ნოე ჟორდანიასთან. ამას გლეხები ამბობდენ ხუმრობით, მაგრამ ამაში ბევრი აზრია. ბატონ მენშევიკებს მართებთ დაფიქრდენ თავიანთ მოკავშირეების ბედზე.

მენშევიზმის იდეა ქართულ სოფლებში სამუდამოდ დამარხულია. და ეს სავსებით დაიმსახურეს ნოე ჟორდანიას და მის პარიტეტულ კომიტეტის გმირებმა.

უსახელო გმირებს წილად ჩვდათ უსახელო სიკვდილი.

საეჭვოა, რომ ნოე ჟორდანია, და ჩვენც კი, შეგვეძლო წარმოგვედგინა კიდევ უფრო მეტი სირცხვილი, მენშევიკური პარტიის უფრო სამარცხვინო დასასრული, ვიდრე ის, რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ. დეე, ეხლა მე-2 ინტერნაციონალმა და ერთა ლიგამ „თვალყური ადევნონ“, და „შეისწავლონ“ საქართველოს ამბები და გამოიყვანონ აქედან სათანადო დასკვნები. ვფიქრობთ, რომ ეს დასკვნა მათთვის სასარგებლო არ იქნება.

ლ. ღოღობერიძე.

ეკონომიური თათბირი

(1 ოქტომბრის საღამოს სხდომა)

შემდეგი მოხსენება: ამიერ-კავკასიის ეკონომიური მდგომარეობა და მისი გავლენა რკინის გზებზე.

მომხსენებელი არის ეკონომიურ სამსახურის უფროსი—**აბელიშვილი.** მოხსენებაში დაწვრილებით არის აღნუსხული მთელი ამიერ-კავკასიის სამეურნეო და საწარმოვო ყველა დარგი. ცნობები მისდევენ რიგ-რიგათ და შედარებით ჯერ მშვიდობიანობის ხანისა და შემდეგ 1921—1924 წლებისა.

აღნუსხულია ყოველწლიურათ ყველა მოსავლისა და წარმოების რაოდენობა ამიერ-კავკ. სამივე რესპუბლიკაში და მათი ექსპორტი.

ამ სტატისტიკური ცნობებიდან აშკარა და უდაო ხდება ჩვენი ეკონომიური თანდათანობითი განვითარება, თუმცა ჯერ ვერ მიგვიღწევია ომის წინათ არსებულ ნორმისათვის.

ტრანსპორტის შესახებ მოხსენებით გამოდის ინჟ. **ფიცხელაური.** იგიც იძლევა ამ საკითხის შესახებ სტატისტიკურ ცნობებს იმავე წესრიგით და შედარებით, როგორც სხვა მოხსენებანი. აქაც თვალსაჩინოა გაუმჯობესება ტრანსპორტისა ოთხი წლის განმავლობაში. ხილის გადაზიდვას კი 1924 წელში გადაუჭარბებია თვით 1913 წლისთვის.

შემდეგ მომხსენებელი იწყებს მოხსენებას ტარიფის შესახებ, ქალაქის სადგურებზე დასა გრილობელ-ტრანსპორტზე.

ტარიფს ესაჭიროება ახალი გადასინჯვა და მისი შეფარდება საქონლის ხასიათთან და მის გადაზიდვის რაოდენობასთან.

ქალაქის სადგურების არსებობა გამართლებულია. იგინი ინაზღაურებენ ხარჯებს და წმინდა მოგებაც შემოაქვთ (300.000 მანეთი 1924 წელში).

საგრილობელი-ტრანსპორტი ამ სამი წლის წინეთ ჩვენში სრულიად არ არსებობდა. ეხლა შესამჩნევათ განვითარდა იგი და თანდათან გარდაიქცა აუცილებელ საჭიროებათ ჩვენი მეურნეობისათვის.

ნოვიკოვი წინადადებას იძლევა, მოსმენილი მოხსენებანი თეზისებათ იქმნენ ჩამოყალიბებული და ისე წარმოუდგინონ კრებას სამსჯელოთ. წინადადება მიღებულია.

2 ოქტომბრის დილის სხდომა

უკანასკნელი მოხსენება: რკინის გზების დამოკიდებულება ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობასთან. მომხსენებელი—**აბელიშვილი.**

წინეთ რკინის გზა ემსახურებოდა უმთავრესად სტრატეგიულ მიზნებს. დღეს კი—ეკონომიურს. რკინის გზა წარმოადგენს ეკონომიურ ცხოვრების მთავარ ძარღვს. ჩვენმა რკინის გზამ ყველაფერი იღონა, რომ შეესწავლა ჩვენი ქვეყნის ეკონ. ცხოვრება და მისთვის შეეფარდებინა თავისი მუშაობაც და განვითარებაც. შემდეგშიაც უფრო მეტის სიფხიზლით ივლის ამ მიმართულებით.

მოხსენებები დამთავრდა.

რადგან შეუძლებელია ამ უხვ სტატისტიკურ ცნობების ერთად შეთვისება და რაიმე მსჯელობის დაწყება, შემოდის წინადადება: პრეზიდიუმმა მომხსენებლებთან ერთად ყველა საკითხის შესახებ შეიმუშაოს თეზისები და წარმოდგენილ იქნეს საღამოს პლენარულ სხდომაზე.

წინადადება მიღებულია.

მოამბე.

პროფკავშირებში

ქიმიკოსთა კავშირის მე-4 ყრილობა

28 სექტემბერს თბილისში შესდგა საქართველოს ქიმიკოსთა მეოთხე ყრილობა. ყრილობამ მოისმინა ქიმიკოსთა კავშირის ცენტრალური გამგეობის მოხსენება მუშაობის შესახებ.

კავშირის საერთო მდგომარეობა

მესამე ყრილობაზე არჩეული იყო კავშირის გამგეობა, რომელშიაც შედიოდა 9 კაცი. განვლილი პერიოდის განმავლობაში გამგეობაში მოხდა ზოგიერთი ცვლილებები.

კავშირი აერთიანებს 1088 წევრს, რომელთაგან 950 მამაკაცია, 138 ქალი და 47 ორივე სქესის მოზარდი. საერთო რაოდენობიდან 203 მოსამსახურეა და 885 მუშა.

კავშირის წევრების შემადგენლობა ეროვნების მიხედვით: ქართველები—419, სომხები—300, რუსები—286, ბერძნები—17, ოსმალები—2, გერმანელები—14 და სხვა.

ერთი წლის განმავლობაში კავშირის [illegible] წევრების რიცხვი გაიზარდა 341 [illegible]თ ანდა 31,4 პროც. უმუშევრები [illegible]6 მხოლოდ თბილისში, მათი [illegible]ვი პირველი სექტემბრისათვის [illegible]იდა 127 კაცს, რომელთაგან 90 [illegible]აცია, 30 ქალი და 7 ორივე [illegible] მოზარდი, მათ შორის 33 მო[illegible]ურეა და 94 მუშა.

საორგანიზაციო მუშაობა.

საკავშირო მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილი იყო გამგეობაში და კავშირის პლენუმებზე. სამდივნოს სულ ჰქონდა 22 სხდომა. სამდივნოს, გამგეობის და პლენუმების სხდომებზე მოსმენილი იქნა 370 საკითხი, რომელთაგან: საორგანიზაციო ხასიათის—184, ეკონომიური ხასიათის—47. სატარიფო საკითხები და შრომის დაცვა—68 კულტგანმანათლებელი მუშაობა—28, სხვადასხვა—43.

ცენტრალური გამგეობა მისი ჩამოყალიბების პირველი დღიდანვე გეგმიან მუშაობაზე გადავიდა. შედგენილი იყო სათანადო გეგმები მუშაობის ყველა დარგებში.

ნებაყოფლობით წევრობის სისტემაზე გადასვლა დამთავრებულია ყველა წარმოებებში.

ახალგაზრდობისა და მოზარდთა შორის მუშაობის საწარმოებლათ გამგეობაში მიღებული იყო ერთი წარმომადგენელი დაზგასთან მდგომ მუშებისაგან, რომელიც ამ მუშაობისათვის განთავისუფლებული იყო კვირაში 3 დღე. მუშაობა ახალგაზრდობის შორის საერთოდ სუსტათ მიმდინარეობდა.

ეკონომიური მუშაობა.

საქართველოს ქიმიური წარმოებების უმრავლესობის მდგომარეობა ვერ არის მტკიცე. ბორჯომის წარმოებების მუშაობა ზაფხულის განმავლობაში გაუმჯობესდა, მაგრამ მათ მაინც არ ყოფნით საბრუნავი თანხები, აკლიათ მოწყობილება და სხვა. კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშია ასანთის ფაბრიკა. კავშირმა მოახდინა ყველა ქარხნების გამოკვლევა; ვინაიდან ასანთის ფაბრიკას ხარჯების სიდიდის გამო დახურვა მოელოდა, კავშირმა წამოაყენა საკითხი აქციზის შემცირების შესახებ, მოახერხა ზედ დართული ხარჯების შემცირება და სხვა.

საწარმოო თათბირები.

აგვისტოს პირველ რიცხვებში დაიწყო საწარმოო თათბირების მოწყობა ადგილებზე. თბილისში თათბირი მოწვეული იყო ორ წარმოებაში; მათი მუშაობა ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოთ მოგვარებული და პრაქტიკულ შედეგებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა ფართო მასები დიდ ინტერეს იჩენენ საწარმოო თათბირებისადმი.

მეცნიერება-ტეხნიკა

მსუბუქი მამოძრავებელი ველოსიპედისათვის.

შინაგანი წვის მამოძრავებლები იმდენათ გააუმჯობესეს უკანასკნელ ხანებში, რომ ველოსიპედის ამოძრავებას ძველი საშვალებით, ფეხებით ამოძრავებას, საზღვარ-გარეთ უკვე მიზანშეუწონელათ სთვლიან. ქვემოთ მოყვანილი სურათი წარმოადგენს ველოსიპედის უკანა ბორბალს, რომელსაც საჯდომთან მიმაგრებული აქვს მსუბუქი მამოძრავებელი, რომელიც რვანახევარ კილოგრამს (20 გირვანქას) იწონის. ამ მოტორს მოძრაობაში მოყავს ველოსიპედის უკანა ბორბალი. ასეთი მოტორის მოწყობა შეიძლება ყოველგვარ ველოსიპედზე. მოტორზე მოთავსებულია თუნუქის პატარა ყუთი ბენზინით. ყუთში მოთავსებული ბენზინის მარაგი საკმაოა 2 საათის მოგზაურობისათვის (30—40 ვერსის გასავლელათ). მხოლოდ ძლიერ დიდ აღმართებზე მგზავრს უხდება ფეხებით მუშაობა. ეს მსუბუქი მოტორები, რომლებიც შესაძლებლად ხდიან ყოველგვარი ველოსიპედის გადაქცევას მოტოციკლათ, ძლიერ იაფი ჯდებიან.



ველოსიპედი მოტორით.

ნარევი

80,000 ვერსი 80 წამში.

მიმდინარე წლის 23 აპრილს გაიხსნა ინგლისის საიმპერიო გამოფენა. გამოფენა გაიხსნა ვეებერთელა შენობაში, რომელიც 125.000 კაცს იტევს. ყველა სიტყვებს, რომლებსაც წარმოსთქვამდნენ გამოფენაზე, იღებდნენ რამდენიმე მიკროფონები და ესმოდათ არა მარტო მთელს ინგლისში, არამედ კონტინენტზედ—დანიაში, შვეციაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში და საფრანგეთში. სპეციალურად მოწყობილი აპარატები გამოფენაზე წარმოთქმულ სიტყვებს, ხოროს სიმღერას (ხორო 1200 კაცისაგან შესდგებოდა) და მუსიკას გადასცემდნენ ნიუ-იორკშიც კი. თვით ლონდონში და ინგლისის სხვა მრავალ ქალაქების მოედნებზე და ქუჩებში დადგმული იყო ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატები, რომლებიც ყველაფერს, რაც კი გამოფენაზე წარმოითქმებოდა, გადასცემდნენ შეკრებილ ხალხს.

გაზ. „დეილი ქრონიკლ“-ის დაახლოებითი გამოანგარიშებით მეფეს სიტყვა გამოფენაზე მოისმინა 5.000.000 კაცმა ატლანტის ოკეანეს ორივე მხარეს. სიტყვები, როგორც ამას ადასტურებენ ყველანი, გადაიცემოდა ისე გარკვევით, მკაფიოდ, რომ შეიძლებოდა გამოცნობა, თუ როდის ლაპარაკობდა მეფე და როდის გამოფენის პრეზიდენტი უელსის პრინცი.

როცა მეფემ გამოფენა გახსნილად გამოაცხადა მან გაგზავნა ასეთი დეპეშა: „ამ წუთში მე ვხსნი საიმპერიო გამოფენას. გეორგ.“ დეპეშა მავთულით იქნა გაგზავნილი აღმოსავლეთისკენ დილის 11 ს. 49 წუთზე და 35 წამზე. დეპეშამ გაიარა ფაიალი, გალიფაქსი, მონრეალი (კანადა), ვანკუვერა, ფიჯის კუნძულები, აუკლენდის კუნძულები, სიდნეი, ადელაიდა, პირს, ქოქოსის კუნძულები, კუნძული როდრიგეც, დურბანი, კაპტოუნ (აფრიკა), ელენეს კუნძული, კუნძული სენტ-ვიცენტ, მადეირა და დაბრუნდა ლონდონში 11 ს. 50 წ. და 55 წამზე. ამრიგად დეპეშამ რაღაც 80 წამში თითქმის 80.000 ვერსი გაიარა. ამ მცირე ხნის განმავლობაში ბავშვმა ტელეგრაფისტმა დაუბრუნა მეფეს დეპეშა, რომელმაც დედამიწის გარშემო იმოგზაურა.

საბჭოთა სასამართლო

სახელმწიფო ფულის მითვისება

ა | წ. 1 ოქტომბერს ალმ. საქ. ოლქის სასამართლომ პ. ბურკაძის თავმჯდომარეობით გაასამართლა თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის საპარატო ნაწილის გამგე ვლადისლავ პავლეს ძე ოლშევსკი, რომელსაც ბრალად ედებოდა სახელმწიფო ფულის მითვისება და საამისოთ ყალბი საბუთების დამზადება (ს. ს. კ. 116 მუხ. 2 ნაწ. და 119 მუხ.)

ბრალდებულ ოლშევსკის ბოროტმოქმედება იმაში მდგომარეობდა, რომ იყო რა პირდაპირი მავთულის აპარატის გამგეთ, სისტემატიურათ ისაკუთრებდა აპარატით სარგებლობისათვის ხვედრი ფულის ნაწილს. ასე, მაგალითად, მოქალაქე შოთაშვილს ბრალდებულმა გამოართვა 66 მ. 50 კ., რა თანხიდან ქვითრების წიგნაკში ჩასწერა მხოლოთ 48 მან., მოქ. ქებაძისაგან აღებულ 40 მანეთიდან წიგნაკში ჩაწერილ იქნა 30 მ. 15 კ. მესამე მოქალაქისაგან ოლშევსკიმ მიიღო 81 მ., წიგნაკში კი ჩასწერა 30 მან. და ასე მრავალჯერ.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა სამი წლით (შეერთებული სასჯელი ორმაგ ბოროტმოქმედებისათვის) და პასუხისსაგებ თანამდებობაზე დადგომის აკრძალვა.

ქრონიკა

— **ლატარიის გათამაშება.** საქ. სოც. უზრუნველყ. სახ. კომისარიატის 1-ლი გამოცემის ლატარიის გათამაშება მოხდება ა | წ. 28 დეკემბერს.

— **საბიბლიოთეკო კურსებზე.** პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს მიერ საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 5 ოქტომბრიდან. თხოვნების მიღება გრძელდება. ყველა ჩარიცხული მსმენელები ვალდებული არიან გამოცხადდენ ანკეტის შესავსებათ 5—8 საათამდე (გიორგევის ქ. № 4, ყოფ. პუშკინის სახელობის სამკითხველო). მეცადინეობა იქნება ქართულ ენაზე.

— **საბიბლიოთეკო კურსები.** სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლში (ჯორჯაძის ქ. № 4) ოქტომბრის 5-ს, 5 საათზე იხსნება საბიბლიოთეკო კურსები ქართულ ენაზე. ქართული ენის და ლიტერატურის ცოდნა სავალდებულოა ყველასათვის, საჭიროა აგრეთვე რეგისტრაციის გავლა. ანკეტების შევსება ხდება დილის 9 საათიდან.

— **პროფესიონალურ სკოლების** ადგილობრივ ბიუჯეტზე გადმოცემის საკითხის გამოსარკვევათ და დასკვნების წარმოსადგენათ ქ. აღმასკომმა შეადგინა კომისია: ამხ. ამხ. სუხიშვილის, ვარძიელის ივანოვის, მამულიას და ქაცარავას შემადგენლობით.

— **ქალაქის გენერალური გეგმა.** ქ. აღმასკომმა კომუნალურ განყოფილებას დაავალა შეუდგეს წინასწარ მუშაობას ქალაქის გენერალურ გეგმის შესადგენათ.

— **დაჯილდოება.** ქ. აღმასკომმა დაადგინა: მილიციის თანამშრომლებს კოპალიანს, მიქელაძეს, ბროლაშვილს და სილაგაძეს, მუშურ-გლეხურ მთავრობისადმი თავდადებულ სამსახურისათვის, გამოეცხადოს მადლობა, აგრეთვე მათთვე მიეცეს ერთდროული ჯილდო თითოს 100—100 მან. და თითო ვერცხლის საათი.

— **ამხ. ქიქოძის სახელობის ქალთა ფაბზაუჩის** შენობის შესაკეთებლათ წარდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა შეტანილი იქნა აღმასკომის 1924—25 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში.

— **სკოლების შეკეთება.** ქ. აღმასკომმა განათ. განყოფილების შუამდგომლობის თანახმად, სკოლების შესაკეთებლათ გადასდო 18,840 მან.

— **ცენტრომსრბოლი საქაჩი.** ზემოავჭალის ჰიდრო-ელსადგურისათვის ლენინგრადიდან მიღებული იქნა ცენტრომსრბოლი საქაჩები.

— **ვენერიული ამბულატორია.** ჯანმრთელობის კომისარიატი ამ დღეებში გორში ხსნის ვენერიულ საავადმყოფოს, სადაც ავადმყოფებს უწამლებენ უფასოთ.

— **დავალიანების ლიკვიდაცია.** პროფკავშირთა საბჭომ წინადადება მისცა დამხმარე კასას მიიღოს ზომები დაწესებულებებისაგან ხვედრი ფულის ასაღებათ.

— **ქ. აღმასკომის სასტატისტიკო განყოფილება** გადავიდა ახალ ბინაზე, განოვის ქ. № 6, ოთახი 29, ტელეფონი 14—73.

— **სახ. ჯანსახკომის რეორგანიზაცია.** ახლო ხანში მოხდება ჯანსახკომის დაწესებულებათა რეორგანიზაცია-შემჭიდროება.

— **ჯანსახკომის მოწყალე დათა** კურსებზე 1 ოქტომბერს დაიწყო მეცადინეობა.

— **წ.-კითხვის უცოდინარობასთან** საბრძოლველათ აჭარის განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა შეადგინოს გეგმა და პროგრამა.

— **ქართ. დივიზიის** პოლიტგანყოფილებას განზრახვა აქვს გამოსცეს რამდენიმე წიგნი პოლიტგანათლებისა და ტერიტორიალურ ერთეულებში პოლიტმუშაობის შესახებ.

— **პროფ. ვორონინი** 7 ოქტომბერს სანიტ-განათლების სახლში წაიკითხავს მოხსენებას სამეგრელოში სამალარიო ექსპედიციის მუშაობის შესახებ.

— **გერმანელ ფეხბურთელთა რაზმი** ახლო ხანში ჩამოვა თბილისში. რაზმი გამართავს ფეხბურთაობას თბილისის ტანთსავარჯიშო მოედნებზე.

შემთხვევები.

— **შეპყრობა.** სოფ. ყარათაფაში (ყარაიაზის რაიონი) შეიპყრეს გრიგოლ ლესკოვი, რომელსაც ბრალდება სინდიკატიდან ფართლეულობის მოპარვა.

— 1 ოქტომბერს სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ვართან ბადალოვი, რომელსაც ბრალდება ა | კ. სახ. კომისართა საბჭოს თანამშრომლის ბაუშვილის ბინის გაქურდვა.

— **სისხლის სამართლის მილიციამ** ერთ-ერთ ქურდს ჩამოართვა მოპარული კაცის ოქროს საათი. დამკარგველს შეუძლია მიმართოს სისხლის სამართლის მილიციას.

ხელოვნება

სერ. გარიბოვის კონცერტი

სტუდენტთა კლუბის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ახალგაზრდა მომღერალის გარიბოვის კონცერტი. ამ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ახალგაზრდა ვოკალურმა ძალებმა, რომელთა უმრავლესობა საოპერო კარიერისთვის ემზადება.

საკმაოთ მრავალრიცხოვანი აუდიტორია მეტად დაინტერესა მომღერალმა გარიბოვმა, რომლის ვოკალურ ნიჭზე საჭიროა შეჩერება. მას აქვს იშვიათი სილამაზის ხმა (ბარიტონი), მაგრამ მას კიდევ დიდი შრომა დასჭირდება თავისი ნიჭის გასაფართოვებლათ და დასამუშავებლათ.

ამ ჟამათ შესრულების დეფექტებათ უნდა ჩაითვალოს შემდეგი: გარიბოვის ხმის ტეხნიკა ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე, ის თავისუფლათ ვერ ხმარობს რეგისტრებს და ამას გარდა მტკიცე ვერ არის მაღალ რეგისტრში. სერიოზული მუშაობის შემდეგ ყველა ეს დეფექტები, რასაკვირველია, გაქრება.

გარიბოვმა შეასრულა მთელი რიგი მეტად ძნელი ვოკალური ნაწარმოებები, მაგალითად პროლოგი „ჯამბაზები“-დან და რობერტის არია ჩაიკოვსკის „იოლანტა“-დან. მეტად ლამაზათ შეასრულა მომღერალმა რენიტოს არია ვერდის ოპერიდან „საღამო-მასკარადი“, სადაც მან გამოაშკარავა მუსიკალობა და კანტილენა. რომანსები ვერ იყო სათანადოთ შესრულებული.

მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მომღერალმა ჯანაშიამ, რომელსაც ძლიერი და ფართო დიაპაზონის მეტად ლამაზი დრამატიული ტენორი აქვს; მაგრამ ამ მომღერალმაც უნდა დაამუშაოს ხმის ტეხნიკა და ყურადღება უნდა მიაქციოს მაღალ რეგისტრს, რომელიც ხშირად ვერ არის მტკიცე.

ლამაზი ხმა აქვს (ლირიული ბასი) მომღერალ მოდესტოვს, ის თავისუფლათ ხმარობს ხმას, მაგრამ რომანსების შესრულება ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

მეტად მუსიკალურათ და დამთავრებულათ შეასრულა ორი რომანსი მომღერალმა ქალმა ვლადისლავსკაიამ.

მომღერალ ბასტანჯიევას ძლიერი ხმა აქვს, მაგრამ ის ვერ არის სათანადოთ დაყენებული. მაღალი რეგისტრი მკვახეა და ეს ხელს უშლის შთაბეჭდილებას.

მომღერალი ლილინაროვა-ნიკიტინა არ წარმოადგეის რაიმე მნიშვნელოვან ვოკალურ ძალას.

კარგი ხმა აქვს მომღერალ ქალს ბაგდასაროვას, მაგრამ მას სრულებით არ ეხერხება რომანების შესრულება.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო სკრიპკაზე დამკვრელმა იუზბაშევმა, რომელმაც საკმაო ტეხნიკა, ლამაზი ტონი და მუსიკალობა გამოაშკარავა.

ვ. ბ.

— **დრამატიულ სტუდიაში.** გამოცდები დრამატიულ სტუდიაში დანიშნულია პარასკევს, 3 სექტემბერს საღამოს 8 საათზე სტუდიის ბინაზე (რუსთაველის პრ. № 21)

— **სახელმწიფო საოპერო სტუდია.** სახელმწიფო საოპერო სტუდიაში შესვლის მსურველებმა განცხადებანი უნდა შეიტანონ კონსერვატორიის კანცელარიაში. იქვე შეიძლება დაწვრილებით პირობების გაგებაც.

— **სამხატვრო აკადემიაში,** სამხატვრო აკადემიას წელს აუარებელი მოთხოვნილება მოაწყდა. აკადემიაში შემსვლელთა დიდი უმრავლესობა მუშა-მოსამსახურეთა და უმუშევართა წრეებიდანაა. საკონკურსო გამოცდები დანიშნულია ოქტომბრის 6-ს დილით; გამოცდები გაგრძელდება ერთ კვირას; წელსაც იარსებებს 4 ფაკულტეტი: 1) ქანდაკების, 2) ფერადებით წერის 3) ხატვის და 4) ხუროთმოძღვრების (არქიტექტურა); ამ უკანასკნელ ფაკულტეტზე შემსვლელთათვის სავალდებულოა აგრეთვე დამატებითი გამოცდები მათემატიკაში: (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია) განცხადებები ოქტომბრის 4-ს შემდეგ აღარ მიიღება.

— **ლენინგრადის მუშების დასახმარებლად.** შაბათს, 4 ოქტ. პროფკავშირთა კლუბში გაიმართება დიდი სიმფონიური კონცერტი სტოლერმანის დირიჟორობით.

— **ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის** კლუბში მაისურაძის ლოტბარობით შესდგა მომღერალთა გუნდი. გუნდში ახლების მიღება სწარმოებს.

მუშათა ცხოვრება

მადლობის ღირსი არიან ასეთი ექიმები

ტროცკის სახელობის უბანში გახსნილი იყო უფასო დახმარებისათვის ამბულატორია, რომელიც ორჯერ დაიკეტა, მაგრამ ამ ბოლო დროს კვლავ გაიღო: ამ ამბულატორიაში არის ყოველგვარი განყოფილებები და ვენერიულიც კი, რომლის ექიმად დანიშნულია მძინარიშვილი. ყოველი მუშა, რომელსაც კი მიუმართავს მისთვის საშველად, მადლობელია მისი, რადგან ექიმი საქმეს გულმოდგინედ და იშვიათი ენერგიით ეკიდება—„აი ექიმი, სთქვა ერთმა მუშამ, მას რომ არ ეშველებია ჩემთვის, დავიღუპებოდი, ყოველთვის ხალისიანად მიღებდა, მიხსნიდა ავადმყოფობის მიზეზებს და შედეგებს. მეტყოდა: თუ დღეს ცუდად იგრძნო თავი, მოდი სახლში უფასოდ გიწამლებო“.

იქვე მდგომმა ორმა მუშამ: „მართალია, კარგი ექიმია. ჩვენ, მუშებს, დიდ ყურადღებას გვაქცევს, წერა არ ვიცი, თორემ გაზეთშიც გამოვაცხადებდი“-ო.

ასეთივე ენერგიითაა აღჭურვილი რკინის-გზების საავადმყოფოს ახალგაზრდა ექიმი **დავით ახათიანი,** რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს ავადმყოფ მუშებს. ერთ მუშას, რომელსაც თითი დაიარავებული ჰქონდა მან თითი მოურჩინა, სხვა ექიმები მოჭრას ჰპირდებოდენ.

ეს ექიმები მართლაც ღირსნი არიან ჩვენი, მუშური, ღრმა მადლობის.

ინფ. კოპ—ძე.

უნდა ავამუშაოთ.

(წერილი პროვინციიდან).

სენაკის ქალაქის კომუნალურ განყოფილებას ჰქონდა ელექტრო-სადგურთან ელექტრონის წისქვილი და სახერხი ქარხანა. ელექტრო-სადგური ახლაც კარგათ მუშაობს. ხოლო წისქვილის მუშაობა, რომელიც დიდათ სასარგებლო იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის, შესწყდა და უკვე სამ თვეზე მეტია, რაც არ მუშაობს. ეს კი ცუდ გავლენას ახდენს მცხოვრებლებზე და ისინი იძულებულნი არიან ზიდონ საფქვავი სამი ვერსის მანძილზე მდებარე წისქვილებში, რაც ასატანია მდიდრებისათვის, რომელთაც ან ცხენი ჰყავთ, ან ვინმეს დაიქირავებენ, ხოლო აუტანელია მშრომელი ხალხისათვის.

სახერხი ქარხანაც დიდ სარგებლობას იძლეოდა. აქ იაფად იხერხებოდა ხე-ტყე. სამწუხაროდ ამ სახერხმა ქარხანამაც შესწყვიტა თავისი მუშაობა. ხალხი ელის მათ გახსნას და ხელახალ ამუშავებას. კომუნალურმა განყოფილებამ ყოველგვარი ზომები უნდა მიიღოს, რომ წისქვილი და სახერხი ქარხანა საჩქაროდ ამუშავდეს. ამას მოითხოვს მშრომელი ხალხის ინტერესი.

ინფ. **ბაგრატ უჩანეიშვილი.**

მუშკოოპის ერთ დუქანს სიზარმაცე მოერია

მიხაილოვის პროსპექტი № 5-ში მუშკოოპის დუქანია № 3, რომელსაც ამ ბოლო დროს ცოტა სიზარმაცე მოერია. დილით ადრე თბილი პური მას არა აქვს. იმ ძველ გამხმარ პურს, რომელსაც დილით იგი არიგებს, ორი საათი უნდება დასარბილებლად. აბა სადა გვაქვს ჩვენ, მუშებს ამდენი დრო, რომ ცხელ წყალში ქვის მსგავსი პური გავარბილოთ, ორი საათი უნდა მოვანდომოთ ამ პატარა საქმეს? დილით თბილი და რბილი პური მოგვაწოდეთ. აბა, შენ იცი მუშკოოპ!

მუშკორი **ბარნაბი.**

ადგილკომის გადახალისება № 1 გამსახლში

ა. წ. 23 ენკენისთვეს იქნა მოწვეული საერთო კრება № 1 გამსახლის თანამშრომლებისა. კრება გახსნა დროებით ადგილკომის თანამდებობის ამსრულებელმა ამხ. ემ. ჯალაგანიძემ. შემდეგ კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ერთხმად მოქ. ფირცხალაშვილი, მდივნად ესაიანცი. იყო გასარჩევი შემდეგი საკითხები:

1. ადგილკომის მუშაობა და ანგარიში ექვსი თვის განმალობაში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. ადგილკომის და მასში შემავალ კომისიების ხელახალი გადახალისება.
4. დელეგატების არჩევა საქალაქო ადგილკომების კონფერენციაზე.
5. მიმდინარე საკითხები.

პირველ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ემ. ჯალაგანიძე (ადგილკომის სახელით), რომელმაც გააცნო დამსწრეთ ადგილკომის ნაყოფიერი მუშაობა ეკონომიურ და კულტურულ დარგში.

მოხსენების გარშემო ილაპარაკა საბჭოთა მუშაკების კავშირიდან პასუხისმგებელ ინსტრუქტორმა ამხ. ღლონტიმ, სადაც აღნიშნა ადგილკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ. მან დამსწრეთ გადაუშალა ყველა ანგარიშები. მოხსენებების შემდეგ იქნა გამოტანილი რეზოლუცია, სადაც № 1 გამსახლის ადგილკომის მუშაობა ცნობილია დამაკმაყოფილებლად.

შემდეგ იქნა არჩეული ახალი ადგილკომის შემადგენლობა 5 წევრით და ორი კანდიდატით და ყველა კომისიებიც (სამ-სამი კაცით) შემავალი ადგილკომში.

საქალაქო ადგილკომების კონფერენციაზედ იქნა არჩეული ადგილკომიდან—5 კაცი, ადმინისტრაციიდან კი 1.

მიმდინარე საკითხებში გაირჩა სხვა და სხვა ადგილობრივი საჭირბოროტო საქმე სხვა და სხვა ხასიათისა, რის შემდეგ კრება დაიხურა.

მუშკორი **ად. დ. მათგოჯელი.**

მუშათა სამკითხველო ყოველ დღე ღია უნდა იყოს

(პროფსაბჭოს კულტგანის საყურადღებოდ)

ნეკრასოვის ქუჩაზე, სადაც ამხ. მაჩაიძის სახელობის მელითონეთა მუშების კლუბი არის, იმის გვერდით პადვალში მოთავსებულია სამკითხველო, რომელიც თვეში მარტოდ-მარტო ერთხელ იღება, დანარჩენ დღეებში კი დაკეტილია. მასთან ერთად არავითარი წარწერა მას არა აქვს. ვინაიდან ამ კუთხეში მუშები სცხოვრობენ და ახლო-მახლო აქ სხვა სამკითხველო არ მოიპოვება. სასურველი იქნებოდა ეს სამკითხველო მოთავსებული იყოს თვალსაჩინო ადგილზე, რითაც საშუალება მიეცემოდა მშრომელ მასას გაზეთებით და წიგნებით სარგებლობისა.

ამას მიაქცევს სათანადო ორგანო ყურადღებას და მოკლე ხანში ჩვენ ვავხდებით ღირსნი. ყოველ დღე ღია სამკითხველოსი.

მუშკორი **ბ—ნაბი.**

„კომუნისტი“-ს მუშკორებში.

1 ოქტომბერს რედაქციის ბინაზე შესდგა „კომუნისტი“-ს მუშკორების მორიგი საზოგადო კრება.

იქონია რა მსჯელობა სხვადასხვა საკითხების შესახებ, კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილებანი:

არსებულ მუშკორთა ბიურო გადახალისებულ იქნას რკინისგზელებიდან წარმომადგენლების ბიუროში დამატებითი არჩევით. ამ ჟამად ბიუროში შედიან შემდეგი ამხანაგები: ბაჯიაშვილი (თავმჯდომარე), ნიკოლაიშვილი (მდივანი), შინატეხელი, ვარსამაშვილი, [illegible], ჯომარჯიძე, ჯაბაური, ბარბაქაძე, ხეჩუაშვილი, კიკნაძე და გოგოშიძე. ბიუროს შემადგენლობიდან გამოყოფილ იქნა ორი კომისია: ერთი საგამომძიებლო-საკონსულტაციო კომისია, რომელსაც დაევალა მუშკორთა სადავო წერილების მიხედვით გამოძიების წარმოება და უმთავრესად მუშკორთა დევნის ფაქტების ფხიზელი თვალყურის დევნა, კომისიის წევრებს ეძლევათ ტრამვაის ფული. მეორე კომისიას დაევალა მუშკორთა ორგანიზაციის კულტურული მხარისთვის ბრძოლა და მუშკორთა წერილების განხილვა-შეფასება. კულტკომისიას დაევალა პირველ რიგში შეუდგეს არსებულ მუშკორთა კლუბის მოწყობა-გამშვენიერებას.

შემდეგ მიღებულ იქნა დადგენილება მხარი დაუჭირონ საწარმოო კამპანიას და გააცხოველონ მასალების მიწოდება წარმოებათა პროდუქტივობის ზრდის შესახებ.

დადგენილ იქნა საზოგადო კრებების მოწვევა ოთხშაბათობით საღამოს 5 ნახ. საათზე, კრებებს ყოველთვის ნახევარი საათით წინ უსწრებს ბიუროს სხდომები.

დასასრულს მიღებულ იქნა „კინოპალასის“ მომართვა კინოს დასათვალიერებლად ექსკურსიის გამართვის შესახებ, რომელიც უნდა შესდგეს 4 ოქტომბერს.

მუშკორი **ა. ნ.**

რკინისგზელთა ქრონიკა

— **დისპანსერის შენობისათვის** თბ. საუბ. პროფკავშირის პრეზიდიუმმა გამოჰყო კომისია დისპანსერისათვის სათანადო შენობის აღმოსაჩენად.

— **კედლის გაზეთი.** თბ. კვანძის საექიმო დარგის მუშაკთა ადგილკომი ამ დღეებში გამოუშვებს კედლის გაზეთის „მზვერავი“-ს მორიგ ნომერს.

— **წიგნები ბლომად გვაქვს.** თბ. რკ. გზ. საავადმყოფოსთან არსებულ წიგნთსაცავში 850 რუსულ-ქართული წიგნები გვაქვს შეძენილი.

— **სალაროს წევრები.** თბ. კვანძის საექ. დარგის მუშაკთა ადგილკომთან არსებულ ურთიერთ დამხმარე სალაროში 850 წევრი ირიცხება.

— **„ლენინის კუთხისათვის“.** „დორპროფობრ“-ის ადგილკომმა შეიძინა 200-ზე მეტი რუსულ-ქართული წიგნი **„ლენინის კუთხისათვის“.**

ინფ. **ა—ძე.**

პროვინციის ცხოვრება

თელავის განათლების მუშაკთა საზეიმო სხდომა

განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ სახლის ორი წლის არსებობის გამო, 29 სექტემბერს პროფბიუროს კლუბში შესდგა თელავის განათლების მუშაკთა საზეიმო სხდომა.

სხდომა გახსნა ამხ. მ. კაკაბაძემ, რომელმაც სიტყვით მიმართა დამსწრეთ კავშირის ცენტრ. სახლის არსებობის გამო. სამხედრო მუსიკამ შეასრულა ინტერნაციონალი, რომლის შემდეგ ამორჩეულ იქნა სხდომის პრეზიდიუმი: ამხ. მ. კაკაბაძე, ნ. ღუდუშაური, ვ. პაატაშვილი, ქ. ფრანგიშვილი, ზ. კევლიშვილი, ს. მამალაძე და კ. როსტომაშვილი.

სხდომის საპატიო თავმჯდომარედ ერთხმად ამორჩეულ იქნენ: ამხ. ლუნაჩარსკი, დ. კანდელაკი, მარიამ ორახელაშვილი, შავერდოვა, მ. შიუკაშვილი.

თელ. მაზრის მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირთა ბიუროს სახელით ამხ. ვ. პაატაშვილი მიესალმა საზეიმო სხდომას და აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არაფერს ზოგავს სწავლა-განათლებისათვის და თუ მესამოცე წლებში იმპერიალისტურ გერმანიის სოფლის მასწავლებელმა აღზარდა მამაცი ჯარისკაცი, დღეს საბჭოთა საქართველოს სოფლის მასწავლებელმა უნდა აღზარდოს განათლებული მუშა-მეურნე, რომ აღამაღლოს სოფლის მეურნეობა და განამტკიცოს თავისი ეკონომიური მდგომარეობა...

აღმასკომის და განათლების ინსპექციის სახელით ამხ. ნ. ღუდუშაურმა თავის მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ განათლ. ინსპექციამ მთელი ბიბლიოთეკა გადასცა თელ. მასწავლებელთა სახლს და შემდეგშიაც ეს განყოფილება მზად არის ხელი-ხელ ჩაკიდებული იაროს მასთან.

მაზრის პარტკომის და ახალ. ლენინელთა სამაზრო კომიტეტის სახელით მიესალმა ამხ. ქ. ფრანგიშვილი

შემდეგ მოხსენებით გამოვიდნენ განათლების მუშაკთა კავშირის სახლის მნიშვნელობაზე ამხ. ქ. ფრანგიშვილი და მასწ. შელიძე, რომელიც აგრეთვე შეეხო ცენტრალურ სახლის მოქმედებას.

თელავის განათლების მუშაკთა სახლის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მ. კაკაბაძემ და აღნიშნა, რომ აქამდე მისი მოქმედება ძლიერ მკრთალად გამოიხატებოდა და ისიც მარტოთ მარტო ვიწრო პედაგოგიურ სფეროში.

კრებამ მიიღო ამხ. კაკაბაძის წინადადება, აირჩია 9 კაცისაგან შემდგარი გამგეობა, რომელსაც დაავალა მუშაობის გაძლიერება.

მოხსენების შესახებ გამოტანილ იქნა რეზოლუცია, რომელშიაც სხდომა უსურვებს განათლების მუშაკთა ცენტრალურ სახლს მომავალშიაც ენერგიულ მუშაობას.

კრებამ განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრ. სახლის გამგეობას გაუგზავნა მისალმების დეპეშა.

ვ. კორი.

აღმშენებლობითი მუშაობა დაბა ახალქალაქში

აღმასკომი შეუდგა ამ ზაფხულს აღმშენებლობითი მუშაობას. დაიწყო სოფლის ხიდების აშენება.

დღემდი ეს ხიდები იყო ხისა და ჩქარა ფუჭდებოდა, ახლა კი კეთდება ცემენტის თაღებით.

სწარმოებს მუშაობა კლუბის ასაშენებლათ ყოფილ თარხნიშვილისეულ მამულში, სადაც მოთავსებული იქნება სცენა, სამკითხველო და სხვა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს დიდი კულტურულ ტაძრის გეგმა, ცოტა არ იყვეს, უგეგმოთ არის დაწყებული, რადგან აუდიტორია ძლიერ პატარაა, ისე, რომ ზამთრობით მიტინგები და სერიოზული ყრილობები აქ ვერ მოთავსდება.

არ იქნა და ვერ მოგვარდა აქ გაზეთების მიწოდების საქმე, მიუხედავათ იმისა, რომ სადგურ გრაკალთან სისტემატიური მიმოსვლა სწარმოებს არამც თუ ყოველ დღე, არამედ ყოველ საათობით. ძალიან კარგი იქნება, თუ რომელიმე ხელის მომწერმა 10—15 ცალი გაზეთი მიიღოს მთელი თვის განმავლობაში და მიაწოდოს სხვებსაც. ეს ადვილათ მოსაგვარებელი საქმე უნდა იკისროს უსათუოთ თემის აღმასკომმა.

მუშა **მკერვალი ნიკო.**

სენაკ-ზუგდიდის რკინის გზა

სენაკ-ზუგდიდის რკინის გზის გასახსნელად საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ ზომებს ღებულობს. მართალია, სამგზავრო მატარებლებით მიმოსვლა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ამ.-კავკ. რკინის გზის სამმართველომ უკვე გახსნა ქ. ზუგდიდში რკინის გზის სადგური და ჯერ-ჯერობით ქ. სენაკსა და ზუგდიდს შუა დაიწყეს მიმოსვლა მატარებლების ნაცვლად საბარგო და სამგზავრო ავტომობილებმა. ქ. სენაკის მიმართულებით მიმავალთათვის ბილეთები იყიდება ზუგდიდის რკინის გზის სადგურზე, ხოლო იქით მიმავალთათვის სენაკის რკინის გზის სადგურზე, ისე როგორც ყველა რკინის გზებზე. სადგურები ღებულობენ ყოველგვარ გადასაგზავნ ბარგებს სხვა და სხვა სადგურების მიმართულებით იქით და აქეთ ქ. ზუგდიდამდე.

ამნაირათ თანდათან ეწყობა წესიერი მიმოსვლა სენაკ-ზუგდიდს შორის და ამით ლაგამი ედება მედილიჟნეების უსაზღვრო მადას.

ზ. უ.

სალხინოს რაიონი (სენაკის მაზრა)

სალხინოს რაიონი ცენტრიდან საკმაოდ მოშორებულია. რაიონი აკავშირებს ოთხ თემს: სალხინო, თამაკონი, კიწია და კურზუ.

სწავლა-განათლებას აქაური ხალხი ძალიან ეტანება, ეს რაიონი ცნობილი ბოლშევიკური რაიონია და საბჭოთა ხელისუფლებას აქ დიდი ნდობა და გავლენა აქვს მშრომელ ხალხში. ყველა თემებში არსებობენ ოთხწლიანი სკოლები, ხოლო სალხინოსა და კიწიაში შვიდწლიანი.

მიმდინარე წელში ნათესებს კარგი პირი უჩანს. ყოველ რაიონში დაარსებულია სასოფლო კულტურათა მდგომარეობის გამომრკვევი საექსპერტო კომისიები ცენტრალური სტატისტიკურ სამმართველოს მიერ. მათი მოვალეობაა ყოველ თვის პირველსა და 15 რიცხვებში გამოარკვიოს ნათესების მდგომარეობა. სწორედ აქ ნათლად ირკვევა, რომ სალხინოს რაიონში წელს სიმინდი საშუალოზე კარგია, ლობიო კიდევ უფრო უკეთესი, თამბაქო საშუალოზე უკეთესი, ვენახი კარგი, ღომი და ფეტვი კი საშუალო. ხოლო ხილის ბაღი კი წელს საშუალოზე მდარე იყო. წრევანდელი ამინდი ნათესებისათვის ხელის შემწყობი იყო. ნათესების დალუპვას ადგილი არ ჰქონებია.

ბ. უჩანეიშვილი.

სოფელი რუისპირი (თელავის მაზრა)

სოფელი რუისპირი დაშორებულია ქ. თელავზე ოთხი ვერსის მანძილით მცხოვრებთა რიცხვი ოთხას კომლამდეა. ამ სოფელს შუაზე სჭრის მდინარე თურდოს წყლის ნაწილი.

შუა სოფელში არის აშენებული სკოლა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ სოფელ რუისპირს სიგრძე დიდი აქვს და მცხოვრებთა ნაწილი ძლიერ დაშორებით სცხოვრობს სკოლიდან. ამის გამო ბავშვებს ძლიერ უჭირთ სიარული, მეტადრე ცუდ ამინდში. ამ სოფელში კი ძლიერ ადვილი მოსახერხებელია მეორე სკოლის გახსნა, თუ ამას სათანადო ყურადღებას მიაქცევს ადგილობრივი საბჭო. ამ სოფლის თავში არის შენობა, სადაც წინეთ იყო ბნელეთის ტაძარი, დღეს კი გაუქმებული არის და არც სხვა რამისთვის არის მოხმარებული. მისი გადაკეთება ადვილათ შეიძლება სკოლათ. იქვე ეზოში არის ორი ოთახი სასოფლო სახლი, სადაც სცხოვრობდა მღვდელი, დღეს კი შეგვიძლიან იქ მოვათავსოთ მასწავლებელი. ამით გლეხების ბავშვებს გაუადვილდებათ სწავლის მიღება.

შუა სოფელში არის აგრეთვე კლუბათ გადაკეთებული ეკლესია, რაშიც დიდი შრომა მიუძღვის რუისპირის ახალგაზრდობას. ამ ზაფხულში დაიდგა რამოდენიმე წარმოდგენა ახ. ლ. კ. კავშირის მიერ. წარმოდგენებს აუარებელი გლეხობა ესწრებოდა.

სოფელს არა აქვს ხელოვნურათ გამოყვანილი წყარო, რომლის უქონლობაც დიდ ზიანს აყენებს ამ სოფლის მცხოვრებლებს. სასმელი წყალი მოდის გზის პირ, წყალი ძლიერ იმღვრევა.

რუისპირის გლეხობიდან ბევრი ჩივილი მსმენია: ოღონდ წყაროს გამომყვანი მოთავე ვინმე გამოგვიჩნდეს, და უკანასკნელ კამეჩს გავყიდით და გადავიხდითო, მაგრამ არავინ გამოუჩნდათ.

საჭიროა არის ამ სოფელში დაჩქარებით წყაროს გამოყვანა, ვინაიდან ზაფხულობით ამ სოფლის ნახევარი მცხოვრებნი ავად არიან მღვრიე წყლის სმის გამო.

მუშაკელი.

პროვინციის ქრონიკა

— **ზუგდიდში** გაიხსნა ავტომობილების სადგური. ბილეთები იყიდება ყველა მიმართულებით.

— **სამალარიო სადგური.** სენაკის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა გაადიდოს სამალარიო სადგურის შტატი.

— **გამასწორებელ სახლების საავადმყოფოები** ქუთაისში, გორში, ფოთში, ოზურგეთში და სიღნაღში გადაყვანილი იქნენ ადგილობრივ ხარჯზე.

— **ხე-ტყის ქარხანა,** ახალქალაქის სამაზრო აღმასკომი შეუდგა ხე-ტყის სახერხ ქარხნის და სარძეო ფერმის შეკეთებას.

— **ახალი აგარაკი.** ერკეთის აგარაკის (გურიაშია) მდებარეობა საუცხოვოა. აგარაკის ტყე შეიცავს 7 ათას დესეტინას, 3,500 დეს. მიწაზე წიწვიანი ჯიშის ხეებია.

— **ჭაობის ამოშრობა.** ახალქალაქის აღმასკომმა დაადგინა ამოაშროს „შავშანაკის“ ჭაობი და მის ადგილას გააშენოს ბაღი.

— **სასოფლო-სამეურნეო ბანკის** განყოფილების ახალქალაქში გასახსნელად შუამდგომლობა აღძრა საქ. ცაკის წინაშე ადგილობრივ აღმასკომმა.

— **სესხი გლეხებს.** ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესატანად, განზრახულია ახალ ქალაქის გლეხებს მიეცეს სესხი.

— **ბამბის ქარხანა.** ქ. ხონში შეკეთებული იქნა ბამბის საწმენდი ქარხანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 48.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. სექტემბრის 19.

ხალიჩების სალიცენზიო გამოსაღების შესახებ.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სალიცენზიო გამოსაღები ხალიჩებისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს საერთო წესისამებრ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის მეშვეობით, ხალიჩების უცხოეთში ღირებულების 2 პროცენტის რაოდენობით.

2. იმ ხალიჩებისათვის, რაც საზღვარგარედ ცალობით იქნება გატანილი, როგორც სამგზავრო ნივთი, სალიცენზიო გამოსაღები დაწესებულ იქნეს შემდეგი რაოდენობით: კავკასიური ხალიჩებისათვის—ფუთზე ხუთი მანეთი, ხოლო არაკავკასიური ხალიჩებისათვის—ფუთზე ათი მან.

3. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. ოქტომბრის 17 თარიღისა და 98 №-რის დადგენილება—საზღვარ-გარედ გასატანი ხალიჩების სალიცენზიო გამოსაღების შესახებ—(ა—კ-ის ს. ფ. ს. რ. კანონთა და განკარგ. კრებ. 1923 წ. მე-12 №-რი მუხ. 222) გაუქმებულ იქნეს.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ივანიშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ. დრ. ალმ. ს. ლეკიშვილი.

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. სექტემბრის 27.

ადგილობრივი ორგანოების მიერ. ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცებამდე, ხახსართა დახარჯვის წესის შესახებ.

რათა ადგილობრივი ორგანოების მიერ, ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცებამდე, სახსარითა დახარჯვის საქმეში დამყარებულ იქნეს წესიერი გეგმა, **ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:**

1. ნება დაერთოს ადგილობრივ ორგანოებს, ვიდრე 1924 | 25 საბიუჯეტო წლის ბიუჯეტები დამტკიცდებოდეს, დახარჯონ ოქტომბერში სათანადო რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ დამტკიცებულ 1924 წ. ცხრა თვის საბიუჯეტო დანიშნულებათა ერთ მეცხრედზე არა უმეტესი.

2. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს ნება მიეცეს გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები—ამა დადგენილების განვითარებისათვის.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ს. ამბარცუმიანი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ა. შავერდოვი.

განცხადებები

ღრმესად დამწუხრებულნი ელენე სერგის-ასული კაციანისა და გიორგი სერგის ძე კირიშჩევი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობებს საყვარელ მამის

სერგო გიორგის ძე
კირიშჩევის

გარდაცვალებას ღამით 1 ოქტომბერს ა. წ. დაკრძალვა მოხდება კვირას—5 ოქტომბერს. გამოსვენების საათი და ადგილი იქნება გამოცხადებული ცალკე
ნ. 2261 1—1

მთავარი საკურორტო
სამმართველო
ს. ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი.

კურორტი აბასთუმანი, სამთო-კლიმატიური სადგური

სიმაღლე—1278 მეტრი.

1 ნოემბრიდან **იხსნება** საშემოდგომო-საზამთრო-საგაზფხულო **სეზონი** 1924—1925 წლისა.

საუცხოვოდ მოწყობილი სანატორიუმები ახლად ტუბერკულიოზდაწყებულთათვის და ცალკეთ კიდევ—ტუბერკულიოზით დასნეულებულთათვის. აგრეთვე ციებ-ცხელებიან და სისხლ-ნაკლებ ავადმყოფთათვის. სანატორიუმებში დამატებითი ფასის გაღებით შეიძლება იქონიოთ საკუთარი ოთახი.

სასმელ-საჭმელი—მრავალ ფეროვანი, უხვი და გემრიელი. დიეტიური საზრდოობა.

ერთო სამკ- კავშირის თვითეული წევრისთვის . . . 140 მან.
ლის ფასი: თვეში კერძო პირთათვის . . . . . . 180 „

პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებს—განსაკუთრებული შეღავათი ცალკე მორიგებით.

მინერალური აბანოები და წყალთმკურნალობა.

აგარაკი მოწყობილია კარგად. განათება ელექტრონისა.

ჩიმოსვლა **ბორჯომიდან** (70 ვერსი) „ზაკავტოპრომტორგის“ საუკეთესო ავტომობილებით, 4 საათის სასიარულო.

მომსვლელთათვის სასტუმროები—ბორჯომში და აბასთუმანში.

იძლევა აგრეთვე ქირით ცალკე ოთახებიც და მთელი ბინებიც.

ფასები დაკლებულია შესამჩნევად.

საწოლის დამქირავებელთ ან ცალკე ოთახების მსურველებმა უნდა მისცენ განცხადება—**ექიმის მოწმობისა და ერთი თვის საფასურის თანხლებით**—მთავარ საკურორტო სამმართველოში. (ტფილისი, საპორის ქ. № 30) ან—აბასთუმანში—საკურორტო სამმართველოს.
ნ. 1591 2—2

ა. კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში

ამით აცხადებს სახელმწიფო ტრესტების, სინდიკატების და კომბინატების, აქციონერთა და შერეულ საზოგადოებების, საურთიერთო ნდობის საზოგადოების, ბანკების და კოოპერატივთა კავშირების და სხ. სახელმწიფო წარმოებათა ცნობად და სათანადო შესასრულებლად, რომ თანახმად სათანაბრო გადასახადის დროებით წესდების მე-3 მუხ. ყოველ საგადასახადო პერიოდის პირველი თვის განმავლობაში, (1 მაისამდე და 1 ნოემბრამდე) ზემოდ აღნიშნულ წარმოებათა და დაწესებულებათა გამგეობანი ვალდებულნი არიან ა. კ. ფინსახკომის რწმუნებულის საქართველოში სამმართველოს გადასახადთა განყოფილებაში (ლორის-მელიქოვის ქ. № 7)

წარმოადგინონ
ანგარიში

წარსული ნახევარი წლისა, დაწესებული ფორმით, რომელსაც დართული უნდა ჰქონდეს ყველა შეერთებულ წარმოებათა სია მათი ადგილმდებარეობის და აგრეთვე ამ წარმოებათათვის აღებული სარეწაო მოწმობების თითოეულისათვის ცალ-ცალკე აღნუსხვით; ამის გარდა ნაჩვენები უნდა იქნეს სრული საბუთები ბრუნვის რაოდენობისა (დროებ. წესდ. მე-4) მუხ. საანგარიშო ნახევარი წლის განმავლობაში თვითეული წარმოებისა ცალ-ცალკე და საერთო ბრუნვა ყველა გაერთიანებათა

ამ ანგარიშების წარმოდგენა წარმოებათ არ ათავისუფლებს რაიონის საგადასახადო კომისიაში, იმის და მიხედვით, თუ რომელ რაიონში იმყოფება წარმოება, იმ განცხადების შეტანისაგან, რომელიც მოეთხოვებათ სარეწაო გადასახადის აკრეფის წესის ინსტრუქციით, კითხვის პუნქტის პირდაპირ ბრუნვის რაოდენობის ჩვენებით, რომ წარმოება დაბეგრილი უნდა იქნეს სათანაბრო გადასახადით დროებით წესდების მიხედვით.

ის წარმოებანი და დაწესებულებანი, რომელნიც დაწესებულ ვადაში (დროებ. წესდ. მე-3 მუხ.) არ წარმოადგენენ სათანადო ანგარიშებს, დაჯარიმებულნი იქნებიან თანახმად დროებით წესდების მე-10 მუხ. და დამოუკიდებლად ამისა, თუ ანგარიში წარმოდგენილი არ იქნება ვადის გასვლის შემდეგ ორი თვის განმავლობაში,—სათანაბრო გადასახადით დაბეგრილები იქნებიან საერთო წესით.

ა. კ. ფინსახკომის რწმუნებულის საქართველოში
მოადგილე ი. ფანცხავა

გადასახადთა განყოფილების
მმართველი **ილ. ჩიქოვანი**

ნ. № 1602—1—1

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსაგან

თანახმად ა. კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. 19 სექტემბრის დადგენილებისა, ამიერ-კავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო **3 ოქტომბერს** იწყებს

ქ. თბილისის საბჭოთა მოსამსახურეების აღწერას

რომლის მასალები საჭიროა საბჭოების სრულიად საკავშირო მე-3 ყრილობისათვის.

აღწერა დამთავრებული უნდა იქნეს 3—5 ოქტომბრის განმავლობაში, მასალები ჩაბარებული უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში (დემოგრაფიის განყოფილებაში) არა უგვიანეს 7 ოქტომბრისა.

ამასთანავე ამიერ-კავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო აცხადებს, რომ

აღწერა ეხება: 1) ყველა ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებებს, მათ რიცხვში საკავშირო რესპუბლიკების წარმომადგენლობასაც (უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლები აღწერაში შეტანილი არ იქნებიან), რომლებიც ამა თუ იმ ქალაქის ფარგლებში იმყოფებიან (თუ გინდ დროებით); 2) საგუბერნიო და სამაზრო საბჭოების ყველა ადგილობრივ დაწესებულებებს; 3) პროფესიონალურ კავშირებს და მათ ქვემდებარე დაწესებულებებს, რომლებიც ქალაქში იმყოფებიან; 4) რკინისგზის სამმართველოებს და ადგილობრივი ხაზის რკინისგზის სადგურებს; 5) ქალაქში არსებულ კოოპერატიულ ორგანიზაციებს, 6) ტრესტებს და სინდიკატებს, რომელთა გამგეობები მოთავსებულია ადგილობრივ, და აგრეთვე 7) ამა თუ იმ ქალაქში მოთავსებულ ყველა კულტურულ-განმანათლებელი, საექიმო, სოციალური უზრუნველყოფის და სხვა დაწესებულებებს და სავაჭრო წარმოებებს (დუქნები, მაღაზიები, საწყობები და სხვა), რომლებიც აღნიშნულ დაწესებულებებს ეკუთვნიან; 8) სახალხო კომისარიატების საოლქო, სარაიონო და ადგილობრივ დაწესებულებებს, რომლებიც ამა თუ იმ ქალაქში არიან მოთავსებული და უშუალოდ მათ ემორჩილებიან. 9) სხვა ქალაქების საბჭოთა დაწესებულებების და წარმოებების ადგილობრივ საგენტოებს და წარმომადგენლობას.

აღწერა არ ეხება: 1) რუსეთის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციებს და დაწესებულებებს; 2) ფაბრიკებს და ქარხნებს და მათ დამხმარე დაწესებულებებს და წარმოებებს; 3) სამხედრო ნაწილებს; 4) იმ დაწესებულებებს, და წარმოებებს, რომლებიც კერძო პირებს და კერძო საზოგადოებებს ეკუთვნის და რომლებშიაც მონაწილეობას არ იღებს სახელმწიფო კაპიტალი; 5) ხელოსანთა, სავაჭრო და სხვა არტელებს, რომლებიც სრულიად არ სარგებლობენ დაქირავებული შრომით.

აღწერის დღეებში დაწესებული იქნება მორიგეობა შემდეგ პუნქტებში;

ამიერ-კავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო (ყოფ. ლორის-მელიქოვის ქ. № 5, ტელეფ. № 6—65).

საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო (ბროსეს ქ. № 4, ტელ. № 11—91).

ქალაქის სტატისტიკური განყოფილება (ქალაქის აღმასკომის შენობა, ტელეფ. № 17—43).

მორიგეობა ყოველდღე გაგრძელდება დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე და საღამოს 6-დან 9 საათამდე.

ის პირები, რომლებიც ხელს შეუშლიან აღწერის საქმეს, პასუხისგებაში იქნებიან მიცემული, თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის 180 მუხლ. მეორე ნაწილისა.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.
1—1 ნ. 1603.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
№ 2095—25—11

„ჩვენი სკოლა“

მესამე ნაწილი ფერადსურათებიანი გამოცემა

შრომის სკოლის მეორე წლის სრული კურსი

ბითუმად იყიდება

ს. თავართქილაძის „განათლება“ ლენინის (ოლღას) ქ. № 6. წიგნის მაღაზიაში

ცალობით: . . . . . 1 მ. 20 კ.
ბითუმად: . . . . . 10—15 პროც. დაკლებით.

№ 2227—2—2

ა.-კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველო

ამით აცხადებს ყველა გამომცემლობათა საყურადღებოთ, რომ განცხადებების ფასს იგი გადაიხდის

მხოლოდ იმ შემთხვევაში,

თუ განცხადება შეკვეთილია ოფიციალურად საქმეთა მმართველობის მიერ.
1—1 ნის. 1600 საქმეთა მმართველი გ. ჯაჯანიძე

სრულიად საქართველოს იუსტიციის მუშაკთა ყრილობა

დღის წესრიგი.

1) ს. ს. რ. კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა.

2) სასამართლოს სამი წლის მუშაობა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის მორიგი ამოცანები.—მომხს. ამხ. **ვარძიელი.**

3) სახალხო სასამართლო, მისი საჭიროებანი და მორიგი ღონისძიებანი მისი სათანადოთ დაყენებისათვის.—მომხს. ამხ. **ტერ-არუთინოვი.**

4) სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესის საკითხები.—მომხს. ამხ. **კარტოზია.**

5) სასამართლო ზედამხედველობის საკითხები.—მომხს. ამხ. **ოკუჯავა და როინიშვილი.**

6) ოლქის სასამართლო და უახლოესი ღონისძიებანი მისი მოქმედების სფეროში.—მომხს. ამხ. **ვარძიელი.**

7) კლასიური პრინციპის გაძლიერება დასჯის პოლიტიკაში.—მომხს. ამხ. **ტერ-არუთინოვი.**

8) მოხსენება დამცველთა კოლეგიაზე და მოსახლეობისათვის დახმარების ორგანიზაციაზე.—მომხს. ამხ. **ცინცაძე** და ამხ. **მესხიშვილი.**

9) საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს მოხსენება.

ნ. 1599 3—1

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა
ბალანსი

აქტივი. 1924 წ. 1-ლი სექტემბრისათვის. **პასივი.**

1. ნაღდი საშუალებანი		
1. კასა	6.331—23	
2. სახელდახელო ანგ. ბანკ.	1.076—01	
3. სპეციალ. მიმდ.	14.641—65	22.048—89
2. ფასიანი ქაღალდები		
სხ. სხ. ობლიგაციები		485—00
საქონელი		
1. საწყობში	104.209—97	
2. მაღაზიებში	611.864—45	
3. საკომისიოთ გაცემული	24.459—35	
4. „ მიღებული	9.248—62	
5. გირაოს ქვეშ	219.658—17	
6. სამნეო ნაწილში	5.884—46	
7. შესანახათ გაცემული	80.000—00	
8. გადასამუშავებლათ გაცემული	2.020—95	
9. გზაში	97.940—99	1.155.286—96
4. მოძრავი ქონება		26.129—24
5. დებიტორები		
1. სხ. სხ. პირნი და დაწესებ.	63.796—60	
2. ანგარიშ ქვეშ მყ. პირნი	26.548—26	
3. მიღებული თამასუქები	45.000—00	
4. დახურდავებული თამასუქები	150.000—00	
5. პროტესტ ქმნილი „	828—12	286.172—98
6. განყოფილებები		
1. მოსკოვის	165.610—93	
2. ბაქოსი	95.919—98	
3. ქუთაისის	25.855—35	
4. სიღნაღის დასამზ. პუნქტი	59.125—18	346.521—44
7. ტრანსპორტი		3.530—87
8. მიმდინარე ხარჯები		133.358—01
9. კურსის განსხვავება		6.992—45
10. საორგანიზაციო ხარჯები		1.2774—76
	ბალანსი.	1.993.300—60

1. საპაიო კაპიტალი		615.331—9
2. კრედიტორები		
1. სხ. სხ. პირნი და დაწესებ.	351.039—99	
2. კომიტენტები	12.980—24	
3. გაცემული თამასუქები	406.593—66	
4. სპეც. ანგარიშ. ბანკ.	209.339—52	
5. ბანკებ. განაღდ. თამასუქ.	150.000—00	1.129.953—41
3. შემოსავალი		
სხვა და სხვა	39.494—69	
საქონლის გაყიდვის	202.763—27	242.257—96
4. ზედნადები ხარჯები		2.956—46
5. გარდამავალი თანხები		2.800—86
	ბალანსი	1.993.300

ნ. 1601 1. **გამგეობის თავმჯდომარე ნ. ამირაღოვი.** **საფინანსო გამგე ქ. ცისკარიძე.** **მთავარი მუხჰალტერი ქ. თალა**

სამხრეთ-აღმოსავლეთის საოლქო სააქციონერო სავაჭრო საზოგადოება
„იუვაკტორგ“-ი

დრ. მისამართი: სოლოლაკის ქ. № 4. ტელეფონი 8—71

სახელმწიფო ორგანოების, კოოპერატიულ ორგანიზაციების და კერძო პირების საყურადღებოდ აცხადებს, რომ

მიღებულია და მიიღება გასასყიდათ:

1. ცემენტი პორტლანდის, ტამპონაჟის, ნოვოროსიისკის ქარხნების
2. ეტერნიტი (მუდმივი სახურავი)—ყველაზე უფრო მაგარი და ცეცხლის მძლე სახურავი
3. შაბიამანი და სხვა ქიმიური პროდუქტები ბონდიუჟის ქარხნების
4. პარფიუმერია: პირისაბანი საპონი, ოდეკოლონი პუდრი და სხვ.—სახელმწიფო ქარხნების „ჟირკოსტ“ (ყოფ. ბროკარი და რალლე)
5. სამეურნეო და საავთიაქო საქონელი (ქარხ. ყოფ. ქელლერი და ფერრეინი)
6. ლაქი და საღებავები ქარხანა „ლაკოკრასკა“ (ყოფ. მამონტოვის ოლოვიანიშნიკოვის და სხვ.)
7. მზესუმზირას ზეთი, სალომასი ოლიფა
8. საპონი ჟუზანის და დონის ქარხნების
9. ფხვნილი შაქარი ჟუზანის სახ. შაქრის ქარხნების
10. ასანთი პოლესიეს ასანთის ტრესტის
11. ცინკი (თუთია) გოგირდის სიმჟავე, სხვადასხვაგვარი რკინეულობა, ლურსმანი, ცეცხლის მძლე აგურები კავკავის ქარხნის „კავცინკ“

პირველი საფეხურის კოოპერატივებს საქონელი დაეთმობა უფრო დაკლებულ ფასებში

1—1 ნის. 1596 „იუვაკტორგ“-ის რწმუნებული **პოპოვი**

გამოცდილი მასწავლებელი ამზადებს

ყველა სასწავლებელში შესასვლელად. ყველა კლასებისათვის. აგრეთვე ვიძლევი **მათემატიკის და რუსული ენის გაკვეთილებს და ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს.** პლეხანოვის ქ. № 25 (შესავალი ალექსის ქ. 5) ნახვა 4—7 საათ.
10—3 ნ. 1593

ექიმი
ე. ი. კალანდაძე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ საღამოს 5—7 საათამდე. ვენერიულ და სიფილისით ავადმყოფთ დილის 7—8 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩის დასაწყისში.
25—3

ექიმი
ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა.

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. № 2100 25—11.

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, მიღება: დილის 7—8 საათ. საღამოს 6—7 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, (ყოფ. დიდი მთავრის) № 72.
2005 25—15

ექიმი
ს. ა. გალუსტიანცი

შინაგანი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი; ქრონიკული და მწვავე 0 ⊕ 0 ტრიპერი, სიფილისი 0 ⊕ 0

ავადმყოფების მიღება დილის 25—4 საათ. და 4—7 საათ. ქალების მიღება 2—4 საათ. ელისაბედის ქ., 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.
25—3 ქ. № 2203.

ექიმი
მედიცინის დოქტორ
ა. ა. მონსე

ექიმობს მოზრდილთა და ბავ შინაგანი ორგანოების და ნერ ლი სისტემის ავადმყოფ

ელექტრო-სინათლის
სამკურნალო კაბინეტი

მიღება: დილით 10 ს.—12 საათამდე და საღამოს 5 ს.—7 საათამდე პლეხანოვის პროსპ. № 111, ბინა 2
ქვ. № 2052—25—14

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი

რუსთველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან)
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

მიღება: პირველის ნახევრიდან—ორის ნახევრამდე და 6—8 საათ., ქალებისა და ბავშვებისათვის 5-დან 6 ს.
ქვ. № 2046 25—15

ექიმი
გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულისა და პლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ციების წამლობა—შეხაპ. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა **რენტგენის სხივებით**

დილ. 9—1 დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23. 1562 13—1

დაკარგა პასპორტი და ბირჟის წიგნაკი ზაქარია თულაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 2263.

დაკარგა პირადობის მოწმობა მიცემული ლენჩხუმის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ლავრენტი სვიმონისძე გუზუკეიანის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1 2259

დაკარგა მოწმობა სენაკის მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ მოცემული № 11 ნიკოლოზ. ალექსანდრესძე ანჯაფარიძეს სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. № 2262.

დაკარგა პირადობის მოწმობა მოცემული თბილისის მილიციის მიერ პეტრე ანტონის-ძე ჯიჯეიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 2260

დაკარგა მეტრიკული მოწმობა რუბენ დალიევის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 2264.

დაკარგა გერცელ დავითისძე ბაბოვის სახელზე დახლის წიგნაკი № 24150, გაცემული თბილისის ქალაქის დამზღვევი კასისაგან 27 ნოემბ. 1923 წ. ჩაითვალოს გაუქმებულად
1—1 2256.